# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№8 (9.967)

20 - 27 მარტი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


„ეს არ არის გეგმის ნაწილი, დაწყებულია რეალური სამუშაოები“...

გვ. 3




...როცა სარკე გაბზარულია

გვ.6

გადარჩენისთვის ბრძოლა ანუ აღდგენილი კულტურული ცხოვრება

გვ. 4

ეს ლანას ისტორიაა



გვ.5-7

# ვაქცინაცია დაიწყო!

## მედპერსონალის ნაწილი თავს იკავებს



17 მარტს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩატარდა. ასტრა ზენეკას 200 დოზა 16 მარტს შემოვიდა დედოფლისწყაროში. იმ დღესვე მედპერსონალისთვის განკუთვნილ პორტალზე 10 პირი დარეგისტრირდა. ძირითადად, პირველადი სამედიცინო დახმარების (სასწრაფო გადაუდებელი სამსახურის) ბრიგადის თანამშრომლები. 17 მარტს ყველა მათგანი აიცრა. ვაქცინაციის დაწყებას ისინი პირველადი ჯანდაცვის რეგიონული ცენტრის ფოიეში ელოდნენ და მღელვარებას იუმორით უმკლავდებოდნენ. ბრძოლის ველზე პირველი მათი ხელმძღვანელი გავიდა და მათ მაგალითი უჩვენა. როგორც აღმოჩნდა, სასწრაფო დახმარების პერსონალის უმრავლესობა ახალ კორონავირუსს გადაურჩა. ამიტომ ვაქცინაციის პროცესს ისინი ანტისხეულების გარეშე შეხვდნენ. აცრის შემდეგ პირველი კომენტარი ვასილ სამადაშვილმა გააკეთა და აღნიშნა, „ვიცი, რომ ვაქცინა მიცავს და აცრის გარეშე არ არსებობს პანდემიის დამარცხების სხვა გზა და საშუალება“.

ვაქცინაცია რომ პანდემიის დამარცხების ერთადერთი საშუალებაა, კარგად იციან პირველადი ჯანდაცვის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელებმაც და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრშის თანამშრომლებმაც, მაგრამ მათ კოვიდ-19 -ით ინფიცირების შემდგომი აუცილებელი პერიოდი-120 დღე აშორებთ „ასტრა ზენეკას-ოქსფორდის ვაქცინას“.

მათგან განსხვავებული პოზიცია აქვს მედპერსონალის ნაწილს, რომლებიც ვაქცინაციის დაწყებას არ ჩქარობენ. ჩვენი ინფორმაციით, ახალი კორონავირუსი დედოფლისწყაროს მედპერსონალის 20%-მა გადაიტანა, მაგრამ დარჩენილი 80% პორტალზე დარეგისტრირებისგან თავს იკავებს. ასეთივე სიტუაციაა მთელი საქართველოს მასშტაბით.

### რატომ იკავებენ თავს ვაქცინაციისგან მედიკოსები?

გარდა ამისა, ეპიდემიოლოგის თქმით, მედპერსონალის ნაწილი ელოდა არა ბრიტანულ-შვედური წარმოების Oxford/Astra Zeneca-ს (სწორედ ამ ვაქცინით დაიწყო საქართველოში ვაქცინაცია), არამედ Pfizer-BioNTech-ს, რომელიც საქართველოში 22 მარტისთვის უნდა შემოვიდეს და რომელიც თებერვლის შუა რიცხვებისთვის უნდა ჩამოსულიყო:

„რა თქმა უნდა, ბევრია ისეთიც [მედპერსონალი], ვისაც მართლა არ უნდა აცრა და მოცვა არ იქნება საკმარისი, მაგრამ მსურველებისთვისაც აბსოლუტურად დაუგეგმავად მოხდა რეგისტრაციის დაწყება. თავიდან კლინიკებს გვითხრეს, რომ მხოლოდ კოვიდ-კლინიკები აიცრებოდნენ, შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჯანდაცვის ყველა მუშაკს შეეძლო რეგისტრაცია და ეს ისე სპონტანურად მოხდა, რომ რეალურად კლინიკები არავის გაუფრთხილებია, არადა, ამის შესაძლებლობა არსებობს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ „ასტრაზენეკას“ ვაქცინა სრულიად მოულოდნელად შემოვიდა, როცა ადამიანები „ფაიზერის“ ვაქცინას ელოდებოდნენ და ამასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დამყოლობისთვის. შესაბამისად, ახლა მიმდინარე კამპანია ჯანდაცვის მუშაკების დადანაშაულებაზე, რომ პასიურობენ რეგისტრაციის კუთხით, ცალმხრივია. ადეკვატური კომუნიკაცია არ ყოფილა კლინიკებთან. მოულოდნელობის ეფექტი შეიქმნა, თორემ ნორმალურად თუ ახსნიდნენ სიტუაციას, თუკი დროულად გააფრთხილებდნენ, ნაკლები ადამიანი იტყოდა უარს ვაქცინაზე.

### ვაქცინის ქართველი მსხვერპლი

27 წლის ექთანი, რომელსაც „ასტრაზენეკას“ ვაქცინის გაკეთების შემდეგ ანაფილაქსიური შოკი განუვითარდა, პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში გარდაიცვალა.

შეგახსენებთ, რომ ახალციხის კლინიკაში 27 წლის ექთანს „ასტრაზენეკას“ ვაქცინის გაკეთების შემდეგ, სავარაუდოდ, გვერდითი რეაქცია - ანაფილაქსიური შოკი გუშინ განუვითარდა. ექთანი თბილისში, პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში მკურნალობდა. ის თბილისში გვიან ღამით გადმოიყვანეს.

ამ ფაქტმა კიდევ უფრო მეტი ადამიანი დააფიქრა. მათ შორის მედიკოსებიც. თუმცა, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისთვის ვაქცინაციის დროს მსგავსი რეაქციები უცხო ნამდვილად არაა.

***-ალერგიული რეაქციები, მათ შორის ანაფილაქსიური შოკი არის, ძალიან იშვიათი, მაგრამ ერთ-ერთი ცნობილი გვერდითი ეფექტი ნებისმიერი იმ ვაქცინების, რომლებითაც დაბადების პირველი დღეებიდან ადამიანები ვიცრებით.***

***კოვიდის საწინააღმდეგო აცრების შემთხვევაში, ანაფილაქსიური შოკი უფრო ხშირად ფიქსირდება ვიდრე ეს სხვა აცრებს ახასიათებთ.*** 18 იანვრის მონაცემებით ,ფაიზერის 9.943.247 დოზაზე ანაფილაქსიური შოკის 47 შემთხვევა დაფიქსირდა. მოდერნას შემთხვევაში 7.581.429 დოზაზე - 19 ანაფილაქსიური რეაქცია. ეს დაახლოებით არის 4.7 (ფაიზერი) და 2.5 (მოდერნა) ანაფილაქსიური რეაქციაა მილიონ დოზაზე, რაც დაახლოებით 5 -ჯერ მეტია გრიპის გაქცინასთან შედარებით. ერთეულ შემთხვევებში პაციენტებს ჰოსპიტალიზაცია დასჭირდათ, მაგრამ 2-3 დღეში გაეწერნენ, დანარჩენებს კი დახმარება პირდაპირ ვაქცინაციის ცენტრებში აღმოუჩინეს.

### როგორ უნდა იყოს აღჭურვილი ვაქცინააციის ცენტრი რათა დააკმაყოფილოს უსაფრთხოების ყველა სტანდარტი?

ცხადია, სამედიცინო პერსონალი უნდა იყოს შესაბამისად გაწვრთნილი. ამავე დროს აუცილებელია ადექვატური აღჭურვილობა, რომ ანაფილაქტიური რეაქციის განვითარებისთანავე, პაციენტს დახმარება ადგილზევე აღმოუჩინონ-აცხადებს ექიმი ნანა გეგეჭკორი.

მინისტრის მოადგილემ ბრიფინგზე ანაფილაქსიური შემთხვევების სტატისტიკაც წარმოადგინა და აღნიშნა, რომ საქართველოში ყოველწლიურად 40-60 შემთხვევა ფიქსირდება, შარშან კი იგივე მიზეზით 2 ადამიანი გარდაიცვალა.

„სამწუხაროდ, ანაფილაქსიური შემთხვევები ქვეყანაში ყოველ**წლიურად ფიქსირდება. ბუნებრივია, ეს აქამდე არ უკავშირდებოდა კორონავირუსის ვაქცინას, რადგან ეს ახალი ვაქცინაა. დაახლოებით, 40-60 შემთხვევაა სტატისტიკაში აღწერილი.**

/გაგრძელება გვ.3/

C M Y K

## საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად თეა წულუკიანი დაინიშნა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად თეა წულუკიანი დაინიშნა.

პრემიერ-მინისტრის ბრძანების შესაბამისად, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი დღეს მოაწერა, თეა წულუკიანი მინისტრის უფლებამოსილების შესრულებას 22 მარტიდან შეუდგება.

პრემიერ-მინისტრის ბრძანებითვე, მიხეილ ჩხენკელი, დღეიდან, დანიშნულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრად.



## ქართული ოცნებისა და ოპოზიციის 9-საათიანი შეხვედრა შეთანხმების გარეშე დასრულდა

მედიატორ კრისტიან დანიელსონის განცხადებით, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის ფარგლებში მნიშვნელოვანი პროგრესი 6 პუნქტიდან მხოლოდ რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით იქნა მიღწეული. როგორც დანიელსონმა ხანგრძლივი აუდიენციის დასრულების შემდეგ განაცხადა, რამდენიმე საკითხზე ნაკლები პროგრესი იყო. „პრეზიდენტ მიშელის მიერ დატოვებული 6 პუნქტიდან მნიშვნელოვანი პროგრესი ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით იყო მიღწეული სხვადასხვა ასპექტში. რაც შეეხება სხვა საკითხებს, ამაზე ნაკლები პროგრესი იყო. ახლა მე დავბრუნდები ბრიუსელში და ამ ყველაფრის შესახებ მოვახსენებ პრეზიდენტ მიშელს“, - განაცხადა დანიელსონმა.

მედიატორის თქმით, პოლიტიკური კრიზისის დასრულება პოლტიკურ აქტორებს საშუალებას მისცემდა ყურადღება ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე გაემახვილებინათ.

„მე ჩართული ვიყავი ინტენსიურ მოლაპარაკებებში ამ კვირაში, როგორც პრეზიდენტ მიშელის პერსონალური წარმომადგენელი, მისი ვიზიტისა და შემოთავაზების შემდეგ, რომ ევროკავშირს მედიაციის როლი შეესრულებინა. ევროკავშირმა და აშშ-მ დიდი სამუშაო გასწიეს იმისთვის, რომ დახმარებოდნენ პარტიებს შეთანხმების მიღწევასა და საქართველოში პოლიტიკური კრიზისი დასრულებაში. პოლიტიკური კრიზისის დასრულება იქნებოდა იმის საფუძველი, რომ პოლიტიკურ აქტორებს მათი მთელი ყურადღება კოვიდ პანდემიისა და მისი სოციალურ-პოლიტიკური შედეგებისთვის დაეთმოთ, ევროკავშირის დღის წესრიგში მოეხდინათ პროგრესი და საქართველოს რეგიონალური უსაფრთხოების ინტერესები დაეცვათ - ეს ნამდვილი გამოწვევებია, რომლის წინაშეც ეს ქვეყანა დგას”, - აღნიშნა მედიატორმა.

შეგახსენებთ, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მორიგი შეხვედრა 15:00 საათისთვის დაიწყო. მოლაპარაკებები 9 საათზე მეტხანს გრძელდებოდა.

## პროფესიული დღესასწაულები მიულოცეს



21 მარტი - მესაზღვრის დღეა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა მათ პროფესიული დღესასწაული მიულოცა და წარმატებები უსურვა ქვეყნის დაცვის საქმეში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები 24 საათის განმავლობაში იცავენ საქართველოს სახელმწიფო საზღვარს, ქვეყნისა და მოქალაქეების უსაფრთხოებას.

***

მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა პროფესიული დღესასწაული მიულოცა გაზეთ “შირაქის” რედაქციას. გაზეთი 1937 წლიდან გამოდის და მას ფუნქციონირება არ შეუწყვეტია. მუნიციპალიტეტის მერმა ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტებს უსურვა, კვლავაც დიდხანს ყოფილიყვნენ სამართლიანობის სადარაჯოზე.



# „რთველი 2021“-ში ყურძნის ხარისხზე კონტროლი შეიცვლება

***ქართული ღვინის და ვაზის კულტურა რომ ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათია საუკუნეების მანძილზე, ეს უკვე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმაც იციან. იუნესკოს მიერ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებული ჩვენი საუნჯე ერთ-ერთია იმ სხვა ჩამონათვალთაგან, რომელიც ჩვენს სამშობლოს მსოფლიოს წინაშე მედიდურად წარადგენს და გამოარჩევს. დიახ, ქართული ღვინის დიდი დამსახურებაა, რომ გაუთავებელი შიდა დაპირისპირებებისა და გარეშე მტერთან ბრძოლის მიუხედავად, საქართველო ისევ ამაყად დგას მსოფლიო რუკაზე, „ორ ზღვას შუა“.***

პანდემიის გამო საზღვრების ჩაკეტვა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო წელს მთელს მსოფლიოში. ჩვენს ქვეყანაში ტურისტული სეზონის ჩავარდნის და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაც ამავე მიზეზს უკავშირდება. საქართველოში შემოსულ ტურისტს ჩვენი სამშობლოს ღირსშესანიშნაობების მონახულების შემდეგ ყოველთვის თვალი ქართული ღვინისკენ უჭირავს, ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად იზიდავს მათ! სულ ცოტა ხნის წინ მედიაში გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ “რთველი 2021-ის ფარგლებში, ყურძნის ხარისხი მკაცრად გაკონტროლდება. შეამოწმებენ ყურძნის შაქრიანობას და იმას, თუ რამდენად ჯანსაღია მოსავალი, რაც შემდგომ მის საბაზრო ღირებულებაზეც აისახება და 2-ჯერ ნაკლები ეღირება დაბალშაქრიანი ყურძენი. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ვენახის მოვლასა და ყურძნის კონდიციაზეა დამოკიდებული ქართული ღვინის ხარისხი, მისი საერთაშორისო რეპუტაცია და, შესაბამისად, საექსპორტო ფასი.

**რა პრობლემები შეიძლება შეუქმნას ამ პროცესმა მევენახეს?** ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან მეხუზლამ „რადიო თავისუფლებას“ უთხრა, რომ თუ ჩასაბარებელი ყურძნის შაქრიანობა დაბალი იქნება, ღვინის კომპანია მას ჩაიბარებს, როგორც სასპირტე მასალას და იმ პერიოდისთვის დადგენილ ფასზე ორჯერ ნაკლებს გადაიხდის. მაგალითად, თუკი სეზონზე 1 კილოგრამი კარგი ხარისხის ყურძენი ეღირება 80 თეთრი, დაბალშაქრიანი და სხვა მხრივ დაწუნებული ყურძნის ღირებულება იქნება 40 თეთრი. ნიშანდობლივია, რომ ყურძნის ხარისხზე კონტროლი ეხება სახელმწიფო ღვინის კომპანიებს. კერძო საწარმოები ხარისხს აქამდეც მკაცრად აკონტროლებდნენ. 18 პროცენტი (შაქრიანობა) იქნება ზღვარი. 18 პროცენტზე ზევით განიხილება, როგორც მწიფე ყურძენი, ქვემოთ კი განიხილება, როგორც უკონდიციო და სასპირტე ყურძენი... ლევან მეხუზლა შეკითხვაზე, ხარისხის კონტროლის პირობებში იქნება თუ არა ორმაგი ფასი მაღალი ხარისხის ყურძენზე, პასუხობს, „2021 წლის რთვლის კონკრეტული ციფრები (ფასები)ჯერ არ ვიცით, რა იქნება. არ არის გადაწყვეტილი.“

გასულ წელს, რთველი 2020 -ის ფარგლებში, სახელმწიფო კომპანიებმა სს „აკურამ“ და „მოსავლის მართვის კომპანიამ” ფერმერებისგან, ჯამში, 95 ათას ტონაზე მეტი მოსავალი ჩაიბარეს. ღვინის ეროვნულ სააგენტოში განმარტეს, რომ აქედან უმეტესი იყო დაბალხარისხიანი ყურძენი, თუმცა, მასში სახელმწიფომ გადაიხადა ის ფასი, რასაც კერძო კომპანიები იხდიდნენ ხარისხიან ყურძენში. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ამბობს, რომ თებერვლის შუა რიცხვებიდან რეგიონებში მიმდინარეობს ფერმერების



ინფორმირებულობა, რათა შემოდგომაზე სიახლე მათთვის მოულოდნელი არ იყოს. ის მევენახეებს მოუწოდებს, უფრო მეტი იმუშაონ, რომ მოსავალი იყოს მაღალი ხარისხის. მან ისიც აღნიშნა, რომ „საწყის ეტაპზე ეს სიახლე ფერმერების ნაწილს პრობლემებს შეუქმნის, თუმცა, ხაზგასმით ამბობს, რომ ამ კუთხით მუშაობა აუცილებლად დასაწყები იყო. ყურძნის ხარისხი გაკონტროლდება მთავრობის სპეციალური დადგენილებით და ყურძენში შაქრიანობის დონეს განსაზღვრავენ სახელმწიფო ღვინის კომპანიები, ეს კი მოხდება უშუალოდ მოსავლის ჩაბარების პროცესში. „აგვისტოში რომ ვენახი მოირწყვება, ეს ყველა შემთხვევაში აისახება მის შაქრიანობაზე. რწყვის დროს კონდიცია მნიშვნელოვნად იკლებს და მას შემდეგ გარკვეული დრო სჭირდება, რომ მაღალ შაქრიანობას მიაღწიოს. თუმცა, საბოლოოდ ყურძნის კონდიციის პირდაპირი მაჩვენებელი არის შაქრიანობა. შესაბამისად, ყველაზე მთავარ პარამეტრზე (შაქრიანობაზე) გაკეთდება აქცენტი. ასევე, ყურძნის ჩაბარების დროს გათვალისწინებული იქნება ისიც, თუ რამდენად ჯანსაღია ყურძენი, აქვს თუ არა ჭრაქი და ნაცარი. დაზიანებული ყურძენი ნებისმიერ შემთხვევაში ჩაითვლება უკონდიციოდ (დაბალი ხარისხი)“.

ყურძნის ხარისხი რომ მაღალი უნდა იყოს, ამაზე არ დაობენ არც მევენახეები, თუმცა, მათი ნაწილი ამბობს, რომ კარგი ყურძნის მიღება მხოლოდ მათ შრომაზე არ არის დამოკიდებული. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრები მევენახე როლანდ ხუციშვილის თქმით კი, **„კახეთის ეს მხარე ზაფხულობით განსაკუთრებით გვალვიანია, ამიტომ ვენახი რომ არ მორწყან, ის საერთოდ განადგურდება. ასეთ შემთხვევაში ფერმერები მეორე პრობლემის წინაშე დგებიან - ვენახები, რომლებიც ირწყვება, დაბალშაქრიან მოსავალს იძლევა.“** მევენახე ასევე აღნიშნავს, რომ **„ყურძნის ხარისხზე კონტროლის გამკაცრებამ შესაძლოა ფერმერთა ნაწილი საერთოდ შემოსავლის გარეშე დატოვოს. კონტროლის ასეთი მექანიზმი, ალბათ, ბევრისთვის იქნება მიუღებელი. წარმოიდგინეთ, ჯერ მხოლოდ წამლობის დროს ტრაქტორი რომ დადის, რამდენი მტევანი ზიანდება, რომელიც შემდეგ ჭკნება და ფუჭდება. შემდეგ ეს თითო დაზიანებული მტევანი ჩაბარების დროს რომ აღმოაჩინონ, მთელ მოსავალს დაიწუნებენ. გარდა ამისა, ჩვენთან ზაფხულობით ვენახი თუ არ მოვრწყეთ, სულ გახმება. მორწყვაზეც რიგებია და ზოგს მოკრეფამდე ცოტა ხნით ადრე უწევს რიგი. მაგალითად, აგვისტოში რომ ვენახი მოირწყვება, ეს ყველა შემთხვევაში აისახება მის შაქრიანობაზე. რწყვის დროს კონდიცია მნიშვნელოვნად იკლებს და მას შემდეგ დიდი დრო სჭირდება, რომ მაღალ შაქრიანობას მიაღწიო. მოკლედ, არ ვიცი... წელს, ალბათ, რთული წელი გვექნება“.**

ყურძნის ხარისხის გაუმჯობესებაში პრობლემას ვერ ხედავს ფერმერ ქალთა ასოციაციის ხელმძღვანელი ირინა ფხოველიშვილი, თუმცა, ამბობს, რომ მაღალშაქრიანი და კარგი ხარისხის ყურძენი - თუნდაც, კახეთში - ყველგან არ მოდის. ამიტომ, ფხოველიშვილის აზრით, მნიშვნელოვანია ჯერ ვითარება შეისწავლონ და შემდეგ აუხსნან ფერმერებს, რომ კონკრეტულ ზონებზე ვენახების გაშენება, უბრალოდ, არ შეიძლება, რადგან იქ მოყვანილი პროდუქტი დაბალხარისხიანი იქნება. **„ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ყველანაირ ყურძენს - მათ შორის მჟავეს - აბარებდნენ ქარხანას, ახლა, რა თქმა უნდა, პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან. ყურძენში შაქრიანობის პროცენტის გაზრდა დამოკიდებულია მზის ენერგიისა და მიწის კომბინაციაზე, თუმცა, კახეთში არის ისეთი ადგილები, სადაც, რაც არ უნდა მოუარო ვენახს, ყურძენი ბოლომდე არ მწიფდება. სანამ ამ რეგულაციებს შემოიღებენ, ჩემი აზრით, სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა იზრუნოს ტერიტორიების დარეგიონებაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ, მაგალითად, სადაც ყურძენი ბოლომდე ვერ იწევა, შესწავლის საფუძველზე ფერმერს უნდა უთხრან, რომ კონკრეტულ ადგილზე უკეთესია მოიყვანოს სხვა კულტურა“.**

რედაქციამ კიდევ ერთხელ, დაზუსტების მიზნით აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია სთხოვა ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობას და მათი საბოლოო პოზიცია შემდეგია: **„ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, „რთველი 2021“-ის ფარგლებში ყურძნის ხარისხის კონტროლი გამკაცრდება. ჩასაბარებელი ყურძნის შაქრიანობა, რომელიც შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაციებითაა დადგენილი (მინიმუმ 18 გრადუსი), განსაზღვრავს ყურძნის ხარისხს, რაც შემდგომ მის საბაზრო ღირებულებაზეც აისახება. ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესება მუდმივი პროცესია და სწორედ ვენახის მოვლასა და ყურძნის კონდიციაზეა დამოკიდებული ქართული ღვინის ხარისხი, მისი საერთაშორისო რეპუტაცია და, შესაბამისად, საექსპორტო ფასი.**

რაც შეეხება კონკრეტულად სამთაწყაროს მოსახლეობას, ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მათ ამ საკითხთან მიმართებაში პრეტენზია არ გამოუხატავთ და მათთვის მისაღები აღმოჩნდა დაგეგმილი სიახლე. ამ ზონაში მოწეული ყურძენი ერთ-ერთი საუკეთესო ხარისხისაა და ბოლო წლებში, კონდიციური ყურძნის შაქრიანობა რთვლის პროცესში 18 გრადუსს აჭარბებდა, ხშირ შემთხვევაში კი 21-22 გრადუსსაც აღწევდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები კიდევ ერთხელ გამოხატავენ მზადყოფნას, შეხვდნენ ამ თემით დაინტერესებულ კონკრეტულ მევენახეებს და მიაწოდონ ამომწურავი ინფორმაცია დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით“ – აცხადებენ ღვინის ეროვნულ სააგენტოში. ახალი რეგულაცია, რომელიც ყურძნის ხარისხზე კონტროლის გამკაცრებას ითვალისწინებს, წელსვე ამოქმედდება.

**მოამზადა**
ელზა ხარაშვილმა

# „ეს არ არის გეგმის ნაწილი, დაწყებულია რეალური სამუშაოები“...

## რამდენიმე პროექტმა ჩაილურის წყალი დალია. გაჰყვება თუ არა წყალს მილიონები?

საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად დედოფლისწყაროს ახალი მაჟორიტარი ჰყავს – დავით სონღულაშვილი. კანონში შესული ცვლილების თანახმად, მან ოთხი მუნიციპალიტეტის- საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს ინტერესები უნდა დაიცვას და ამ რაიონებს უნდა გაუწიოს ლობირება. საქართველოს პარლამენტში ის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეა.

***როგორ მოახერხებს ის დატვირთული რეჟიმის გადანაწილებას, რა შუალედში შეხვდება ამომრჩეველს და რა ფაზაშია დედოფლისწყაროელებისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხის-ივრის აუზიდან წყლის დებეტის გაზრდის პროექტი?-ამ კითხვებით მას გაზეთმა „შირაქმა“ მიმართა.***

დავით სონღულაშვილი: -ბიურო მუშაობს ჩვეულებრივად. გახსნილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. შესაბამისად, მე, ორ კვირაში ერთხელ, ერთი დღით ჩამოვდივარ - ხოლმე მოსახლეობასთან შესახვედრად. მოგეხსენებათ, რომ ყოველ მეორე კვირას არის სასესიო კვირა, ამიტომ ის პერიოდი, რომელიც სასესიო არაა, ვცდილობ, დავუთმო საკომიტეტო და სამაჟორიტარო საქმიანობას. სამაჟორიტარო მუშაობის პროცესში, ყოველ მეორე კვირას, ვარ დედოფლისწყაროში და ვმართავ შეხვედრებს მოსახლეობასთან, ვეცნობი მათ პრობლემებს. ინტერესისა და მოთხოვნის შესაბამისად, მოსახლეობას, შეუძლია მაჟორიტარის ბიუროში, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობს, დატოვოს შესაბამისი შეტყობინება. ჩემი ვიზიტის ზუსტ დროს შეატყობინებენ და მე მათ აუცილებლად შევხვდები.

**-ბატონო დავით, ვიცით რომ გამოცხადდა ტენდერი მდინარე ივრიდან წყლის ამოყვანის მიზნით. რა ფაზაშია ეს პროექტი?**

-ტენდერი ჩატარდა და გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია. მოგეხსენებათ, რომ ეს სატენდერო პირობა ითვალისწინებს როგორც პროექტის მომზადებას, ასევე შემდგომში ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებას ერთად. დაწყებულია საპროექტო სამუშაოები, მოგეხსენებათ, რომ ეს არის ორწლიანი პროექტი, შესაბამისად, ჯერ-ჯერობით, გეგმიურად მიმდინარეობს და სამუშაოები დაწყებულია საპროექტო მიმართულებით.

-მოსახლეობის განწყობა მაინც სკეპტიკურია ამ პროექტის მიმართ. საქმე იმაში გახლავთ, რომ დედოფლისწყაროელები, ათეულობით წელია, უწყლობის პრობლემის მოგვარებას ელიან. ბევრი ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებაც სწორედ ეს იყო, მაგრამ პირობა-პირობად რჩებოდა. მოსახლეობას უნდობლობა გაუჩნდა და იმისი მოლოდინი, რომ უწყლობა-ეს მათი განაჩენია!

-მინდა ვთქვა, რომ ეს ისტორიული პროექტია, რომელიც დედოფლისწყაროში ხორციელდება და, შესაბამისად, ეს არ არის გეგმის ნაწილი, დაწყებულია რეალური სამუშაოები.

**-ამ პროექტს ლობირებას თქვენც უწევთ, როგორც დედოფლისწყაროს მაჟორიტარი...**

-რა თქმა უნდა, ლობირებას მეც ვუწევ. პროექტის განხორციელება ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ძალიან დიდი დამსახურებაა და ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პრემიერ-მინისტრს. ბუნებრივია, ეს პროექტი რომ არ შეფერხდეს, მე ყოველდღიურად ვაქცევ ყურადღებას.

მეც, ჩემი გუნდის წევრებთან ერთად, აქტიურად ვმუშაობთ იმისათვის, რომ პირველ რიგში შესაძლებელი იყოს პანდემიის მშვიდობიანი დასრულება. მოგეხსენებათ, ვაქცინის პირველი პარტია უკვე შემოვიდა საქართველოში, ეს დასაწყისია პანდემიის დასასრულის. პირველი ამოცანა პანდემიის დასრულებაა, შემდეგ კი იმ გამოწვევებზე უნდა ვიზრუნოთ, რომელიც ახალმა კორონავირუსმა დაგვიტოვა - რომელიც არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს გამოწვევაა - სწრაფი ტემპით ეკონომიკური ზიანის აღდგენა.

13 მარტს, მოსახლეობასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, დავით სონღულაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მაჟორიტარი ბიუროს ხელმძღვანელი გოგი მაჩხაშვილი სოფელ გამარჯვებაში არსებულ ხორცის გადამამუშავებელ საწარმო „ჯეონატურალსს“ ეწვივნენ.



ხელისუფლების წარმომადგენლებს საწარმოო პროცესი კომპანიის დირექტორმა მარინა აროშიძემ გააცნო.

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ხორცის გადამამუშავებელისაწარმო შპს „ჯეონატურალსი“ სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა. კომპანია სხვადასხვა სახეობის ხორცისკონსერვს აწარმოებს .

„ჯეონატურალსის“ სარეალიზაციო ბაზარი თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს. ახლო მომავალშიკი მისი ექსპორტზე გატანაც იგეგმება.

ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, „ჯეონატურალსი“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა, რაც ნათელი მაგალითია იმისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. კომპანიას ხელისუფლების მხარდაჭერა არც მომავალში მოაკლდება, რაც მას წარმოებისა და სარეალიზაციო ბაზრის გაფართოების პროცესს გაუმარტივებს.

p.s დავით სონღულაშვილი დედოფლისწყაროელებს იმედს აძლევს, რომ ქალაქ დედოფლისწყაროს, სოფლების: ხორნაბუჯისა და სამრეკლოს წყალმომარაგების სისტემის მოწყობის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები დროულად შესრულდება და 38,178,198 ლარი კვლავ ჩაილურის წყალს არ დალევს.

**ესაუბრა**
ინგა შიოლაშვილი

# ვაქცინაცია დაიწყო!

## მედპერსონალის ნაწილი თავს იკავებს

/პირველი გვერდიდან/

**ძალიან სამწუხაროა ის, რომ ეს შემთხვევა დაემთხვა კორონავირუსის ვაქცინაციას, რა პროცესსაც ახლა ვიწყებთ. გვესმის, რომ ეს გამოიწვევს კიდევ მეტ შიშს, მეტ უნდობლობას მოსახლეობისთვის. ამდენად, მაქსიმალურად შევეცდებით, რომ სრული და ზუსტი ინფორმაცია მიიღოს როგორც ჩვენმა კოლეგებმა, ასევე სხვა მოქალაქეებმა იმისთვის, რომ მათ დაიბრუნონ რწმენა ვაქცინაციის სარგებელთან და მოსალოდნელ სიკეთესთან დაკავშირებით“, - განაცხადა გაბუნიამ.**

**ევროპაში ვაქცინაციის შეჩერების მიზეზი გახდა ვაქცინაციის შემდეგ გამოვლენილი თრომბოემბოლიის შემთხვევები. თუმცა, სამი დღის წინ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მოუწოდა ქვეყნებს, რომ გააგრძელონ ვაქცინაციის პროცესი, რადგან მათი განცხადებით, თრომბოემბოლიის განვითარებასა და ვაქცინაციას შორის კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს:**

**ორგანიზაციის პრეს-სპიკერმა მარგარეტ ჰარისმა 12 მარტს გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ “ასტრაზენეკა შესანიშნავი ვაქცინაა” და არ დადგენილა მიზეზობრივი კავშირი მასსა და ჯანმრთელობის პრობლემებს შორის.**

**14 მარტს განცხადება გაავრცელა თავად „ასტრაზენეკამაც“. მათი მტკიცებით, კომპანიის მიერ შექმნილი ვაქცინით აცრილი ადამიანების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მონაცემების განხილვის შედეგად, თრომბის წარმოქმნის გაზრდილი რისკის შესახებ მტკიცებულება არ გამოვლენილა. მათი განმარტებით, კომპანია და ევროპის ჯანდაცვის ორგანოები ვაქცინის დამატებით ამოწმებენ და არცერთი ხელახალი ტესტირება შეშფოთების მიზეზს არ იძლევა. მათივე განცხადებით, ვაქცინის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყოველთვიური ანგარიში ევროპის მედიკამენტების სააგენტოს ვებ-გვერდზე მიმდინარე კვირაში გამოქვეყნდება.**

ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოში „ასტრაზენეკას“ ვაქცინით აცრილია 17 მილიონზე მეტი ადამიანი. მათ შორის, 15 შემთხვევაში გამოვლინდა ღრმა ვენური თრომბოზი, ხოლო 22 შემთხვევაში, ფილტვის ემბოლია.

ენ ტეილორი, უფროსი სამედიცინო ოფიცერი აცხადებს, რომ 17 მილიონ ვაქცინირებულს შორის გამოვლენილი თრომბოემბოლიის შემთხვევები, იმაზე შეუდარებლად დაბალია, ვიდრე თრომბოემბოლიის ის ასეულობით შემთხვევა, რომელიც ზოგადად, პოპულაციაში გვხვდება.



თრომბოემბოლიის ზოგადი სტატისტიკა და მსოფლიო

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ანი ქავთარაძის, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგის მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები, ზოგადად, მსოფლიოში თრომბოემბოლიის შემთხვევების შესახებ.

ექიმი ეყრდნობა გავლენიანი სამედიცინო პორტალის UPTODATE-ის მონაცემებს, რომლის თანახმადაც, მსოფლიოში, ზოგადი სიხშირე მაგალითად, ფილტვის თრომბოემბოლიის შემთხვევებისა, ყოველ 100.000 მოსახლეზე ქალი/კაცი — 56/48 მერყეობს. მხოლოდ ღრმა ვენების თრომბოზი მერყეობს 29-დან-78-მდე და 45-დან -117-მდე, ყოველ 100.000 მოსახლეზე.

ამერიკის გულის ასოციაციის სტატისტიკის თანახმად, კი აშშ-ში, ყოველწლიურად, ყოველ 100 ათას მოსახლეზე ვენური თრომბოემბოლიის 100 შემთხვევა ფიქსირდება. 80 წელს ზევით მოსახლეობაში კი 500-მდე ადის: ეს სიხშირე იზრდება ასაკის მატებასთან ერთად და მაგალითად, 75 წლის ზევით ქალებში, ყოველ 100 ათას მოსახლეზე 500-ს აღწევს.

ანი ქავთარაძე ეყრდნობა კიდევ ერთ წყაროს, ამჯერად, ბიოტექნოლოგიური ინფორმაციის ნაციონალური ცენტრის მონაცემებს, რომლის თანახმადაც, ევროპაში, ფილტვის თრომბოემბოლიის სიხშირე, ან

„

**იტალიამ და საფრანგეთმა განაახლეს ვაქცინის გამოყენება მას შემდეგ, რაც აღიარეს, რომ აკრძალვა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა**

**Wolfgang Münchau ცნობილი გერმანელი ჟურნალისტია. ის „ფინანციალ თიმეს“ -ის ასოცირებული რედაქტორია და ყოველკვირეულ მიმოხილვით სტატიებს წერს ევროკავშირისა და ევროპული ეკონომიკის შესახებ. „ჩვენი ყველაზე უარესი პოლიტიკური შეცდომა“ - ასე ერქვა მიმოხილვას, რომელიც მან 23 იანვარს გამოაქვეყნა. „ვაქცინების შესყიდვასთან დაკავშირებული კატასტროფული პოლიტიკით ევროკავშირმა დაუშვა გადამწყვეტი შეცდომა: მათ რაციონალური მიზეზი მისცეს ადამიანებს, წინ აღდგომოდნენ ევროპულ ინტეგრაციას.“**

**კორონა-პანდემიამ ბევრი პოლიტიკური „თავი“ გააგორა და იმსხვერპლა. ეს ბუნებრივი იყო. პანდემია ომია და ომს ძალიან კომპლექსური პოლიტიკურ-ეკონომიკური მიდგომა სჭირდება. ამერიკამ პრეზიდენტ ტრამპის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ იმუშავა როგორც ვაქცინების გასავითარებლად, ასევე მისი ბიუროკრატიული მხარის ეფექტურად, უმოკლეს ვადებში მოსაგვარებლად. „ზოზინა, ბებერი კუ“ - ასე უწოდა FDA-ს ტრამპმა, უჩვეულოდ სწრაფად „დაფაცურდა“ და გზა გაუხსნა პფაიზერისა და მოდერნას ვაქცინის ოფიციალურ აღიარებას. რას აკეთებდა ამ დროს ევროკავშირი? ამერიკის სრულყოფილმა საპირწონე ფინანსურმა მონსტრმა არათუ ვაქცინების განვითარება ვერ შეძლო, (მაშინ როდესაც ამას თავისუფლად გაუმკლავდა რუსეთი, არამედ გამზადებული ვაქცინების დროული დაბევება და შესყიდვაც ვერ მოახერხა;**

**კატასტროფული ფიასკოს ფონზე „განდგომილი“ ბრიტანეთი თავისი ვაქცინით ფრიად სოლიდურად გამოიყურება და კიდევ ერთხელ ადასტურებს, ამჟამად ემპირიულად, რომ დროულად ჩამოსცილდა ევროკავშირის ბიუროკრატიულ მონსტრს და ამით მილიონობით საკუთარი მოქალაქის სიცოცხლე გადაარჩინა.**

**აი ეს გახლავთ მოკლედ იმ პოლიტიკური სიტუაციის მიმოხილვა, რომელიც ფონად დაედო ასტრა-ზენეკასთან დაკავშირებულ „სამედიცინო“ კრიზისს“.**

# გადარჩენისთვის ბრძოლა - ანუ აღდგენილი კულტურული ცხოვრება

***სახელოვნებო განათლება მნიშვნელოვანია მომავალი თაობის ინდივიდუალური, ესთეტიური და შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისთვის. ხელოვნების სკოლების ამოცანა და მიზანია, მოსწავლეთა ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარება, მრავალმხრივ განვითარებული მსმენელის აღზრდა, მოსწავლეთათვის შესაბამისი პირობების შექმნა.***

15 მარტიდან საქართველოში სახელოვნებო სკოლებმა, მუზეუმებმა და სხვა კულტურულმა დაწესებულებებმა მუშაობა განაახლა, კვლავ „აღდგა“ დამთვალიერებლების, მოსწავლეებისა თუ პედაგოგების მუშაობა. დედოფლისწყარო ამ მხრივ ძალიან მრავალფეროვანი მუნიციპალიტეტია. ჩვენს მუნიციპალიტეტში სახელოვნებო სკოლა და ჰამლეტ გონაშვილის სახელობის გალობისა და ხალხური სიმღერების სკოლა ფუნქციონირებს. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა ამ დაწესებულებების პანდემიური და პოსტპანდემიური მდგომარეობით, რა პრობლემებით და გამოწვევებით ხვდებიან განახლებულ სასწავლო თუ სამუშაო პროცესს.

სახელოვნებო სკოლა პირველად გასული წლის დასაწყისში, მარტის თვეში გაჩერდა. მის შემდეგ, არდადადგებამე აღარ უმუშავიათ. 15 სექტემბერს, ყველანაირი რეგულაციების დაცვით, კვლავ განაახლეს სასწავლო პროცესი. თითოეული განყოფილება აღჭურვილი იყო დეზობარიერით. კლავიატურები ყოველი მეცადინეობის შემდეგ მუშავდებოდა სადეზინფექციო ხსნარით. თუმცა ნოემბერში ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო, სკოლამ მუშაობა კვლავ შეაჩერა და მხოლოდ ახლახანს, 15 მარტს განაახლეს სასწავლო პროცესი. ხელოვნების სკოლაში სულ 29 პედაგოგია დასაქმებული. აქედან დედოფლისწყაროს განყოფილებაში 13 პედაგოგი, სამხატვროში 4. სოფლების მიხედვით: ზემო ქედი 5,ზემო მაჩხაანში 5, არბოშიკში 3, სამხატვროშიც 3. ამჟამად სკოლაში 196 ბავშვი სწავლობს, აქედან დედოფლისწყაროში 83,ზემო მაჩხაანში 30,ზემო ქედში 29,არბოშიკში 14,სამხატვრო განყოფილებაში 40. დალი ელისაშვილი, **სახელოვნებო სკოლის დირექტორი,** ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ გახსნის შემდეგ ბავშვების უმეტესობა სწავლას დაუბრუნდა. ვინც განსაკუთრებულად ფრთხილობდა ის ბავშვებიც კი დაბრუნდნენ საკლასო ოთახებში, მხოლოდ მცირე ნაწილია, რომელიც ამჟამად თავს იკავებს: „გაკვეთილები ტარდება ნიღბებით, რეგულაციების კვლავ მკაცრი დაცვით. ბავშვები დიდი სიხარულით შეხვდნენ სწავლის განახლებას. არამარტო ისინი, ჩვენც მონატრებულები ვართ სასწავლო პროცესს. ჩვენთვის ძალიან რთული იყო და არის ბავშვისთვის დისტანციურად ფორტეპიანოსა თუ ვიოლინოზე დაკვრისა და ხატვის სწავლება. ამ მხრივ ჩვენ საჯარო სკოლების პედაგოგებზე მეტად დავზარალდით. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვატარებდით გაკვეთილებს დისტანციურად, მაგრამ შედეგი ისეთი არ იყო როგორიც ცოცხალი ურთიერთობის დროს შეიძლებოდა ყოფილიყო. უფრო ადვილია ასწავლო სოლფეჯიო და მუს.ლიტერატურა დისტანციურად, მაგრამ იქ სადაც ფორტეპიანოსთან უშუალო კონტაქტია საჭირო, ეს რთული პროცესია.“



ჰამლეტ გონაშვილის სახელობის გალობისა და ხალხური სიმღერების სკოლასთან არსებული ანსამბლი

აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლა წლებია უფინანსებს სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვებს, ობოლ ბავშვებს მთლიანად. არის ასეთი შემთხვევები ჩვენთანაც და სოფლებშიც. სავიოლინო საფორტეპიანოზე გადასახადი არის 15, სამხატვრო განყოფილებაში კი 8 ლარია, რაც ნამდვილად არ არის ბევრი. წლებია ხელოვნების სკოლა მოსწავლეების სტაბილურ რაოდენობას ინარჩუნებს. „ჩვენ ძალიან დიდი გეგმები გვქონდა კონკურსებში ვაპირებდით მონაწილეობის მიღებას. მერაბ მერაბიშვილი საბავშვო კომპოზიტორი აპირებდა ჩვენთან ჩამოსვლას, მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო უნდა ჩატარებულიყო, ბავშვების და პედაგოგების მონაწილეობით. იმედი გვაქვს, რომ ივნისის თვეში მოვახერხებთ ამ გადადებული ღონისძიების ჩატარებას, ვაპირებთ უმცროს კლასელების კონცერტების ჩატარებას, გამოფენების მოწყობას. რაც შეეხება კონკურსებს არც ყოფილა შემოთავაზება სხვადასხვა ორგანიზატორების მხრიდან, თუმცა აქ სხვა ფაქტორიც არის. ჯერ აუცილებლად ბავშვი უნდა ჩადგეს ფორმაში ამდენთვიანი პაუზის შემდეგ სხვა შემთხვევში არც გვექნება კონკურსზე გასვლის უფლება. ძალიან კარგი ბავშვები არიან, გვყავს ლაურეატებიც: ნინო ალუღიშვილი, ნიკა პაპაშვილი, თეკლა წიკლაური, ელისაბედ ცქიტიშვილი, გიორგი ბოდაველი - საფორტეპიანო განყოფილების მიმართულებით.“

როგორც დალი ელისაშვილი აღნიშნავს, სკოლას ჰყავს მაღალკვალიფიციური პედაგოგები. სამწუხაროდ, უკვე ძალიან დიდი ხანია მთელი საქართველოს მასშტაბით აღარ ტარდება კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რადგან ხელოვნების სკოლა აღარ ეკუთვნის კულტურის სამინისტროს, ის ეკუთვნის ადგილობრივ მერიას. „იძულებულები ვართ შიდა რესურსებით მოვაგვაროთ ეს პრობლემა. ჩვენ გვყავს პედაგოგ კოორდინატორი - მარიამ კიკილაშვილი, რომელიც მუშაობს განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვებთან, პარალელურად პედაგოგთანაც, ის ხვეწავს ამ ბავშვების ნამუშევარს. მე ყველა შესაძლო ორგანოს დავუკავშირდი ამ საკითხთან დაკავშირებით. მათ მითხრეს, რომ არ არსებობს ამჟამად კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. თუმცა, პედაგოგები უკვე მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ადამიანები არიან, ძალიან მდიდარი გამოცდილება აქვთ, რომელსაც ერთმანეთს ვუზიარებთ. “

დალი ელისაშვილმა ახალი კადრების სიმცირეზეც ისაუბრა. მისი თქმით, „ძალიან დიდი პრობლემაა ახალი კადრების არსებობა. ბოლო სამი წლის განმავლობაში ეტაპობრივად გაგვიზარდა მერიამ ხელფასები, ძალიან ზრუნავენ ჩვენზე, მადლობა მინდა ვუთხრა მთელი ჩვენი კოლექტივის სახელით ბატონ მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს და ქალბატონ თამარ თამაზაშვილს ამ ზრუნვისთვის, თუმცა ეს საკმარისი არ არის და მერიასაც იმდენი საშუალება არ აქვს, რომ პედაგოგებს გვქონდეს მაღალი ხელფასები. სწორედ ამიტომ, დაბალი ანაზღაურების გამო, ეს პროფესია არ არის პრესტიჟული. ჩვენთან უმაღლესდამთავრებული კადრისთვის 1 საათის ანაზღაურებაა 20 ლარი, საშუალო დამთავრებულისთვის 17 ლარი. მეორე მიზეზი რაც არის ეს მუსიკალური სასწავლებლების გაუქმებაა. დარჩა მხოლოდ მუსიკალური კონსერვატორია. საშუალო რგოლის გაუქმების შემდეგ, ბავშვები ვაკუუმში აღმოჩნდნენ. ბავშვმა, რომ დაამათავროს მუსიკალური სასწავლებელი და მოვიდეს რაიონში მასწავლებლად, ეს საშუალება დღეს მათ არ აქვთ. ეს ძალიან დიდი პრობლემაა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდანაა გადასაჭრელი. თუ გვინდა რომ რაიონში კადრები გვყავდეს, აუცილებლად უნდა გაიხსნას მუსიკალური სასწავლებლები. ყველას არ აქვს საშუალება, რომ კონ-



ხელოვნების სკოლის პედაგოგები და მათი აღსაზრდელები

სერვატორიაში ჩააბაროს. ჩვენ მარიამ კიკილაშვილის სათავეში ყოფნის დროს, გავზარდეთ კლასების რაოდენობა, 7-11 კლასი დაემატა, რომლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს შეეძლო აღებული დიპლომით კონსერვატორიაში ჩაბარება. ამით ჩვენ მცირედით ვეცადეთ იმ ვაკუუმის შევსებას, რაც ზემოთ ვახსენე. გარდა ამისა, გვაქვს შემთხვევები, როდესაც პედაგოგები მოდიან ბავშვებთან ერთად, ჩვენ პატარა კონცერტს ვუტარებთ ხოლმე და ვცდილობთ მივიზიდოთ ისინი, დავაინტერესოთ. ჩვენც გვქონდა გასვლითი შემოქმედებითი ექსკურსიები ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, რაც ბავშვებს ძალიან მოსწონდათ და აღფრთოვანებულებიც რჩებოდნენ. მინდა ვთქვა, რომ ჩემთვის ეს არ არის მხოლოდ ხელოვნების სკოლა, ეს არის კეთილშობილ ბავშვთა სასწავლებელი, აქ ბავშვები ყალიბდებიან კეთილშობილ პიროვნებებად. სხვანაირი ყურადღებიანები, მოწესრიგებულები, მობილიზებულები, ზრდილობიანები ხდებიან. მინდა, რომ რაც შეიძლება მეტი ბავშვი აღვზარდოთ ასეთ კულტურულ გარემოში. მინდა, ხელოვნების სკოლისკოლექტივს ულრმესი მადლობა გადავუხადო იმ დაუღალავი და გმირული შრომისთვის, რომელიც მათ ამ პერიოდში გამოიჩინეს. ისინი, რეგულაციების ფონზე, დღემდე ენერგიულად ემსახურებიან ბავშვების უსაფრთხო და კულტურულ წიაღში აღზრდას.“

***

სულ მალე, 14 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჰამლეტ გონაშვილის სახელობის გალობისა და ხალხური სიმღერების სკოლას დაარსებიდან 7 წელი შეუსრულდება. ლალი აზარიაშვილი, **სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი** გაზეთ „შირაქთან“ საუბარში იმ პრობლემებზე და გამოწვევებზე გვესაუბრა, რომელიც პანდემიამ სკოლის წინაშე დააყენა. დღესდღეობით გალობის სკოლაში 8 პედაგოგი და 4 მოსწავლეა, ანსამბლში 30, მაგრამ ამ რაოდენობაში სკოლის ბავშვებიც ითვლება. ერთი შეხედვით მცირე, მაგრამ უკვე საკმაოდ მდიდარი გამოცდილების მქონე სკოლა პანდემიამ პრობლემების წინაშე დააყენა: „პრობლემები ძირითადად ანსამბლს უკავშირდება, რადგან აღდგენილი სასწავლო პროცესის მიუხედავად, ანსამბლი სრულფასოვნად ვერ დაიწყებს რეპეტიციებს. 30 ბავშვის ერთად მეცადინეობა რეგულაციების ფონზე ძალიან რთულია. აუცილებელია, რომ თითოეულ წევრს მოუსმინოს ხელმძღვანელმა: ბგერას როგორ აიღებს, ნოტს როგორ აიღებს,პირველი ხმა,მეორე ხმა ,ბანი.“ პრობლემას გადაჭრის გზებიც რეგულაციების შესაბამისი გამოუჩნდა. ანსამბლის დაყოფა ჯგუფებად ანდაც რეპეტიციების ღია ცის ქვეშ ჩატარება, მაგრამ ესეც გარკვეულ მსჯელობას მოითხოვს: „ასეთი აზრიც მოგვივიდა,რომ გავყოთ ბავშვები, იმიტომ, რომ უსაფრთხოების დაცვა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა უპირველესია, როგორც პედაგოგების, ასევე ბავშვების. ლოტბართან და პედაგოგებთან ერთად ამაზე უახლოეს პერიოდში შევთანხმდებით, თუ როგორ გავანაწილოთ ბავშვები,როგორ იქნება უკეთესი. რა თქმა უნდა, ის ხარისხი არ იქნება, მაგრამ მთავარია, რომ დავიწყოთ მუშაობა,გავიხსენოთ ძველი ნასწავლი სიმღერები და თუ საჭირო იქნება შევისწავლოთ ახალი. როდესაც დათბება და იქნება კარგი ამინდი,გვექნება საშუალება ღია ცის ქვეშ ჩავატაროთ რეპეტიციები.“ ქალბატონი ლალი, სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრა, რომელიც გადადებული თუ მოახლოებულ ჩაწერებს უკავშირდება. „ ჩვენ მიწვეულები ვართ პირველ არხზე, დავით ცინცაძის გადაცემაში „სიმღერის გაკვეთილები“, რომელიც ოქტომბერში უნდა ჩაწერილიყო, მომზადებული გვქონდა სამი სიმღერა, თუმცა ჩეწერა გადაიდო და ვერ წავედით. მიუხედავად ამისა, ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ ამ სიმღერებზე მუშაობას. ჩვენმა ლოტბარმა ნიკა შანშაშვილმა, რომელიც ჩვენი სკოლისა და გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელის კურსდამთავრებულია, ამ პერიოდში დაიწყო ახალი სიმღერების დამუშავებაც. მან სცადა დისტანციურად ჩაეტარებინა რეპეტიციები, მაგრამ სასურველ ხარისხს ვერ მიაღწია. დისტანციურად შეიძლება ასწავლო ტექსტი,მელოდია, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, მთლიანი ანსამბლის სინქრონში მღერა დისტანციურად, ფაქტობრივად, შეუძლებელია. დიდი ენთუზიაზმით ელოდება ხელმძღვანელიც და ბავშვებიც რეპეტიციების დაწყებას, რათა წავიდნენ სიმღერების ჩასაწერად.

ლალი აზარიაშვილის თქმით, მათთან დასაქმებულნი არიან ძირითადად არიან სახელოვნებო სკოლის პედაგოგები, რომლებსაც უყვართ თავიანთი საქმე და მუდმივად თვითგანვითარებაზე ზრუნავენ. ისინი მუდმივად ცდილობენ ანსამბლის რეპერტუარში მრავალფეროვნების შეტანას. „ბავშვები ერთნაირი წარმატებით ითვისებენ შერჩეულ მასალას. პროექტები თუ ღონისძიებები, რაც დაგეგმილი გვქონდა ყველაფერი გაუქმდა. სამწუხაროდ, ეხლა გვაქვს გადარჩენის დრო, დრო, როდესაც უნდა გადავარჩინოთ ხელვნება, უნდა გადავარჩინოთ ბავშვებიც, სხვა გზა არ გვაქვს, ჩვენ რეგულაციებს ვერ დავარღვევთ.“

ქუქუნა ყანჩაშვილი

# ეს ლანას ისტორიაა

***განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 1 მარტის ბრძანებით ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის სპეციალურ მასწავლებელს ირინა ფიროსმანაშვილს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ქვეყნის მასშტაბით პირველს „პრაქტიკოსი მასწავლებლის“ რანგიდან პირდაპირ „წამყვანი სპეციალური მასწავლებლის“ სტატუსი მიენიჭა „უფროსი მასწავლებლის“ სტატუსის გამოტოვებით.***

ეს არის პირველი და უპრეცედენტო შემთხვევა, რომელმაც სრულიად პედაგოგიური საზოგადოების დადებითი ემოცია გამოიწვია და ირინამ უამრავი გულწრფელი მილოცვა მიიღო. ის 18 წელია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და ინკლუზიური განათლების მიმართულებას ემსახურება და ბევრი წარმატებული აქტივობის ავტორია. მისი საქმიანობისა და პიროვნების შესახებ ვრცელ მასალას ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში გაგაცნობთ. დღეს კი გვინდა, ერთი საყვარელი გოგონას ისტორია შემოგთავაზოთ, გოგონასი, რომელიც დაუნის სინდრომით დაიბადა და ირინა მასწავლებლის, №2 საჯარო სკოლის პედკოლექტივის, მშობლებისა და მეგობრების ძალიხმევით საზოგადოების სრულფასოვანი და აქტიური წევრი გახდა. 21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა და სწორედ ამ დღის აღსანიშნავად გთავაზობთ ამ ისტორიასაც, რათა დაგანახოთ, რომ ეს მდგომარეობა განაჩენი არ არის, რომ დიდსა და თანამიმდევრულ შრომას და მონდომებას შეუძლია, დადოს სასურველი შედეგი. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, მსოფლიოში სხვადასხვა ღონისძიებითა და აქტივობებით აღინიშნება. ფერადი წინდები — ამ დღის სიმბოლო და უცვეთი ლოზუნგი: „მეგობრები არ ვითვლით ქრომოსომებს“, ყოველ 21 მარტს გვახსენებს, რომ ამ ადამიანებს, უბრალოდ, ჩვენგან განსხვავებით, ერთით მეტი ქრომოსომა აქვთ. გასულ წელს, მსოფლიოში, ახალი კორონავირუსით შექმნილი ვითარების გამო, ბუნებრივია, მასშტაბური ღონისძიებები გადაიდო, თუმცა, დისტანციურ აქტივობებს, ინფორმაციის ამაღლების მიზნით, მასწავლებლები მაინც ახორციელებდნენ. ირინა მასწავლებელმაც, მოსწავლეებს ასეთი აქტივობა შესთავაზა: მათ, სურვილის მიხედვით, უნდა გადაეღოთ ფოტოები ახლობლებთან, ოჯახის წევრებთან, და-ძმებთან და გადმოეგზავნათ მასწავლებელთან. შეგროვებული ფოტომასალით კი, მოსწავლეების ჩართულობით, მოამზადეს ფოტო და ვიდეოკოლაჟები, რომელიც დაუნის სინდრომის ცნობიერების ამაღლების მიზნით, მათივე სკოლის ფეისბუქგვერდზე განთავსდა.

მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი სასწავლო წელიც, ძირითადად, იყო დისტანციური, ირინა მასწავლებელს არ დაუზოგავს თავი, რომ არ შეფერხებულიყო მისი აქტივობა. საგაზაფხულო ერთკვირიანი არდადაგების შემდეგ 15 მარტს კვლავ განახლდა სწავლა სკოლაში და ირინამაც დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად პროგრამა შეადგინა, რომელიც მხოლოდ ერთი დღით არ შემოიფარგლება. ის მთელი კვირა გაგრძელდება. პროექტის ფარგლებში ბავშვები ნახავენ ფილმს „რამდენი მოცვია ამ ქვეყნად?“ ფილმის მთავარი როლების შემსრულებლები ტიპიური და შეზღუდული შესაძლებლობების მსახიობები არიან. მოსწავლეებთან ერთად განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა გარიყულობა, დისკრიმინაცია, ჩაგვრა, ბულინგი და ბავშვის უფლებები. პროექტის ბოლოს №2 საჯარო სკოლაში მოეწყობა ლანას ნამუშევრების გამოფენა, რომლის ბოლოსაც გადაიღებენ სამახსოვრო სურათებს ამ დღის სიმბოლო-ფერადი წინდების მორგებით ხელებზე. ლოზუნგი კი შეუცვლელი ფრაზაა: „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“. ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება №2 საჯარო სკოლაში ფართოდ აღინიშნა.

***

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ამირან და ციალა თეთრაძეების ოჯახში ტყუპები ლანა და ლუკა დაიბადნენ. ოჯახი გახარებული იყო, რადგან ერთდროულად ვაჟი და გოგონა შეეძინათ. დედა დასცქეროდა გოგოს, ამჩნევდა ძმისგან მის განსხვავებას, მაგრამ არაფერს ამბობდა, ვერ ხვდებოდა განსხვავების მიზეზს. ექიმმა მშობლებს ამცნო ბავშვის გენეტიკური დარღვევა. გაურკვევლად ნათქვამმა სიტყვებმა დააბნია ცოლ-ქმარი. რამდენიმე დღის მერე გაიგეს, რომ ტყუპისცალ გოგოს დაუნის სინდრომი ჰქონდა. დედამ გულში ჩაიკრა ბავშვი და ცრემლნარევი ხმით უთხრა: „მე შენ არასოდეს მიგატოვებ“.

ბავშვები ისე იზრდებოდნენ, რომ ლანას განსხვავებულობას არავინ აგრძნობინებდა. ეთამაშებოდნენ თანატოლები, უმცროსები და უფროსებიც. 4 წლის ასაკში სახლთან ახლომდებარე ბაგა-ბაღში მიიყვანეს. მიყვანისთანავე ტიროდა, უჭირდა დედასთან განშორება და უცხო გარემოსთან შეგუება. ამას ემატებოდა ისიც, რომ აღმზრდელებს არ ჰქონდათ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება. დედას გული ეტანჯებოდა შვილის განწირული ტირილის გამო და გადაწყვიტა, მოგვიანებით მიეყვანა ბაღში. 5 წლის ასაკში ისევ მიიყვანეს ბაღში, დედა ფიქრობდა, სკოლამდე 1 წელი აშორებს და იქნებ რამენაირად შეეგუოსო. ლანა თავიდან ტიროდა, მაგრამ ნელ-ნელა შეეგუა ახალ გარემოს, უცხო ადამიანებს, ძმის დახმარებით გაიჩინა მეგობრები და თავადაც მოსიყვარულე გოგონამ ყველა გარშემომყოფს



თავი შეაყვარა.

დადგა სკოლაში წასვლის პერიოდიც. დედა ღელავდა ლანას პირველ ნაბიჯებზე. ძმისგან განსხვავებით გოგონა მორცხვი იყო, უჭირდა გამართული სიარული და ლაპარაკი, ხშირ-ხშირად შიოდა და სრულად დამოკიდებული იყო დედაზე, თუმცა, სახლში წინა სასკოლო სამზადისში ისიც აქტიურად ჩაერთო. დედის დახმარებით მოკრიფა ყვავილები, რათა ულამაზესი თაიგული პირველი მასწავლებლისთვის მიერთმია.

გათენდა მზიანი დილა. სადღესასწაულო ფუსფუსი იყო სკოლაში. ეზოში ტრადიციისამებრ იკრიბებოდნენ ბავშვები, მათი მშობლები და მასწავლებლები. გამოჩნდა ლამაზად გამოწყობილი ლანა დედასთან და ძმასთან ერთად, ხელში თაიგული ეჭირა. ტყუპები შეუერთდნენ პირველკლასელებს, ლანა გაოცებული აქეთ-იქით იყურებოდა, დედა ესაუბრებოდა დაბალი ხმით. მასწავლებლების ჯგუფს გამოეყო ერთი ახალგაზრდა ქალი, მიუახლოვდა ლანას, მიესალმა, მოეფერა და სწავლის დაწყება მიულოცა. ეს იყო სპეციალური მასწავლებელი. მასაც ისევე უცემდა გული, როგორც პირველკლასელს.

სკოლის დირექტორმა და მოადგილემ ლამაზად მორთულ სცენაზე ბავშვებს სწავლის დაწყება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კლასის მოსწავლეებმა, იცეკვეს, იმღერეს. პირველკლასელებს სთხოვეს ლექსების წაკითხვა, ვისაც სურვილი ჰქონდა თამამად გავიდა სცენაზე, ლანა მორცხვად იდგა და მხოლოდ მაყურებლის როლით შემოიფარგლებოდა. დირექტორმა პირველკლასელებს გადასცა „ბუქები“, ლანა გაოცებული დაჰყურებდა საჩუქარს. დაირეკა ზარი, დამრიგებელი გაეცნო ბავშვებს, მიუახლოვდა გოგონას, მოეფერა, მოკიდა ხელი და კლასისაკენ თანაკლასელებთან ერთად წაიყვანა. ოთახი ლამაზად იყო მორთული, ბავშვები და მათ შორის ლანაც ათვალიერებდნენ ირგვლივ ყველაფერს. ლანამ თაიგული მორიდებით მიაწოდა მასწავლებელს და ძმის გვერდით მერხთან დაჯდა. ბავშვები ხმაურობდნენ, გოგონა კი ჩუმად იყო და გაოცებულ თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა.

სწავლის დაწყების პირველსავე დღეს სკოლის დირექტორი ლანას დედას შეხვდა და აუხსნა სპეციალური მასწავლებლის მუშაობის აუცილებლობა მისი შვილის სკოლაში ადაპტაციის და განათლების ხელშეწყობის მიზნით. საუბრის დროს მშობელმა პირველად გაიგო, რომ სკოლაში ინკლუზიური განათლება ახლად იკიდებდა ფეხს და გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი.

მეორე დღეს, პირველი კლასის დამრიგებელს სკოლის დირექტორს, სპეციალურ მასწავლებელსა და ლანას დედას შორის შედგა პირველი სამუშაო შეხვედრა. მშობელი გაეცნო სკოლაში ინკლუზიური განათლების მიზანს, შეხვედრის მონაწილეებმა გააცნეს თავიანთი მოვალეობები, ისაუბრეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელების აუცილებლობაზე. სკოლაში რესურს ოთახის არსებობასა და მის ფუნქციაზე. გოგონას დედის თანხმობის შემდეგ, შედგა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც გაიგზავნა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში. ამ დოკუმენტის საფუძველზე სკოლაში მოვიდა მულტიდისციპლინური გუნდის წევრი, შეაფასა ლანა, მიანიჭა მას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის სტატუსი და გასცა რეკომენდაციები.

სწავლის დაწყებიდან პირველი დღეები ლანასთვის იყო რთული. უჭირდა გარემოში ადაპტაცია და საგაკვეთილო პროცესთან შეგუება. მალე იღლებოდა, არ ასრულებდა უცხო ადამიანების ინსტრუქციებს. გაკვეთილის მიმდინარეობისას უნებართვოდ დგებოდა, დადიოდა საკლასო ოთახში და გარეთ გასვლას ითხოვდა. ვერ იცავდა უსაფრთხოების წესებს. საჭიროებდა მუდმივ მეთვალყურეობას.

სპეციალური მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი აკვირდებოდნენ ბავშვს, მშობლისგან იღებდნენ დაწვრილებით ინფორმაციას, დასვენების მიზნით შეყავდათ რესურს ოთახში. თავდაპირველად პატარა გოგონას მოეწონა პუფში ჩაჯდომა. მისთვის ძნელი იყო საგაკვეთილო წესების დაცვა და მერხთან მოწესრიგებულად ჯდომა. დასვენებას ეტაპობრივად ჩაენაცვლა თამაში რესურს ოთახში არსებული მრავალფეროვანი სათამაშოებით. ლანას მოეწონა პირამიდით თამაში. შეძლო მისი დაშლა და უფროსის დახმარებით აწყობა, სამწუხაროდ, ვერ ცნობდა ფერებს, საუბრობდა გაურკვევლად და ჩურჩულით, თამაშობდა მარტივი ფაზლით, მოზაიკით, კუბიკებით.

სპეციალურმა მასწავლებელმა შეაფასა ლანას აკადემიური, შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, მოტორული, ფუნქციური უნარები, გაარკვია მისი ინტერესები და განსაკუთრებული მიდრეკილებები. შეფასების საფუძველზე დაწერა ასეთი დასკვნა: მოსწავლე გადაადგილებისას საჭიროებს მეთვალყურეს, მცირე ბარიერის შემთხვევაში კარგავს წონასწორობას. კომუნიკაციას ამყარებს ნაცნობ ადამიანებთან, არის მორცხვი, არ აღენიშნება აგრესია, უყვარს ჭამა, დახმარებით იყენებს საპირფარეშოს, მისი მეტყველება გარშემომყოფებისთვის გაუგებარია, ვერ იყენებს კალამს დანიშნულებისამებრ, მუჭაში მოუხერხებლად იჭერს ფანქარს და ავლებს რამდენიმე ხაზს, ვერ ცნობს ასოებს, ციფრებს, გეომეტრიულ ფიგურებს. უჭირს ყურადღების კონცენტრაცია. ვერ უფრთხილდება საკუთარ ნივთებს, ხევს რვეულს, ჯღაბნის წიგნს. მოსწონს ქვიშაში თამაში და ხელით ხატვა გუაშის გამოყენებით. გოგონას ამავდროულად აქვს მხედველობის პრობლემა. ეს ყველაფერი იყო პირველი კლასის საწყის ეტაპზე.

ბავშვზე დაკვირვების და მშობელთან ინტერვიუს შემდეგ, შეიკრიბა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდი, წევრებმა ისაუბრეს ყველა საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობაზე. მულტიდისციპლინური გუნდის წევრის რეკომენდაციის საფუძველზე და სპეციალური მასწავლებლის მონაწილეობით მითითებულ ვადაში - 1 თვის განმავლობაში, საგნის მასწავლებლებმა, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შეადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ბავშვის შესაძლებლობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება, შედეგებისა და ინდიკატორების გამარტივება. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ჩაიწერა ინდივიდუალური განრიგი. პირველი გაკვეთილი კლასში, მეორე გაკვეთილი რესურს ოთახში, ეტაპობრივად გაიზრდებოდა კლასში ყოფნის ხანგრძლივობა, ორი გაკვეთილის შემდეგ რესურს ოთახში მუშაობა, სამი გაკვეთილის შემდეგ და ბოლოს გაკვეთილების შემდეგ და საჭიროების მიხედვით.

შემეცნებითი და მოტორული უნარების განვითარების მიზნით სპეციალურმა მასწავლებელმა შეადგინა რესურს ოთახში შესასრულებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გეგმის შესასრულებლად საჭირო რესურსის ნაწილი სკოლის დირექტორის დახმარებით შეიძინეს მაღაზიებში, ნაწილი კი სპეციალურმა მასწავლებელმა გააკეთა სხვადასხვა მასალის გამოყენებით. მაგალითად, აიღო ფეხსაცმლის ყუთი, გაუკეთა დიდი, საშუალო და პატარა ზომის ნახვრეტები, სადაც გოგონა ზომის მიხედვით ჩაყრიდა ღილებს და მონეტებს. დაჭრა მუყაოს ზოლები სხვადასხვა რაოდენობის ნახვრეტებით, რომელშიც ლანა თასმას გაუყრიდა. რესურსის შექმნაში მონაწილეობა მიაღებინა ლანას და მის მეგობრებსაც. ბავშვებმა გააფერადეს ამობეჭდილი ხილი, ბოსტნეული, ცხოველები, ფრინველები, გამოჭრეს, დააწებეს დაააწყეს სახალისო ლოტო, დომინო. ერთობლივად გააკეთეს კედელზე გასაკრავი კალენდარი, ფერადი გეომეტრიული ფიგურების პლაკატი. ციფრები და ასოები დაამზადეს სხვადასხვა მასალით, გამოძერწეს პლასტელინით და თიხით, ააწყეს მარცვლეულით, გამოჭრეს ფერადი ქსოვილებით, დახატეს ფანქრებით, პასტელებით, ფლომასტერებით და გუაშებით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დეტალურად გაეცნო მშობელს. დედა საჭიროებიდან გამომდინარე იღებდა კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების და სპეციალური მასწავლებლის რეკომენდაციებს. შვილს ყოველდღიურად ეხმარებოდა საშინაო დავალების შესრულებაში.სკოლის დირექტორის მოადგილემ პირველკლასელების გაკვეთილების ცხრილი ისე შეადგინა, რომ ლანას ინდივიდუალური განრიგით შეეძლო ყველა საგანზე დასწრება. კლასის დამრიგებელმა და სპეციალურმა მასწავლებელმა ერთობლივი მუშაობით გოგონასთვის შეადგინეს

*/გაგრძელება გვ.7/*

# რა ასწავლა პანდემიამ სკოლებს?

***კოვიდ-პანდემიამ დაგვანახა ის, რაზეც თვალებს ვხუჭავდით: დედამიწა დაიღალა ადამიანების გაუფრთხილებლობით, უზრუნველობით, გულგრილობით. ხშირად გვავიწყდება, რომ ჩვენ მხოლოდ სტუმრები ვართ დედამიწაზე...მატერიალურზე ფიქრით სულიერება სადღაც, შორს მივატოვეთ. იმდენად შორს, რომ იქამდე მისასვლელი გზაც კი დაგვავიწყდა. ამიტომ ყველაფერი შეიცვალა...***

ეს ცვლილებები შეეხო ჩვენს საგანმანათლებლო სივრცესაც. რა შეცვალა პანდემიამ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში? ამაზე სიღრმისეულად საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. ფაქტი ერთია - მასწავლებლები, მოსწავლეები და, რა თქმა უნდა, სკოლის ხელმძღვანელები გარკვეული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ, თუმცა ისიც უდავოა - მათ ამ წინააღმდეგობას თავი გმირულად გაართვეს. ონლაინ სწავლებამ ჩამოაყალიბა ახალი ქცევები, ინტერნეტის სწორად გამოყენება, დროის განაწილება, სხვადასხვა აქტივობისა და რესურსის მოძიება, საკუთარი შემოქმედების ფართო აუდიტორიისთვის ჩვენება. კოვიდ-პანდემიამ დაგვანახა, რომ 21-ე საუკუნეში შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტრადიციული განათლების მეთოდები, რაშიც უდიდესი როლი ტექნოლოგიების გამოყენებას აკისრია. დავინახეთ ისიც, რომ განათლების სისტემაში დისტანციური სწავლების გამოცდილება აუცილებელია, რაც, უპირველესად, გულისხმობს ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრას - ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს ინტერნეტი და კომპიუტერი; მასწავლებელთა მზაობას დისტანციური სწავლებისათვის, ონლაინ სწავლების პლატფორმების განვითარებასა და მშობლების ჩართულობას შვილების განათლების პროცესში. ონლაინ სწავლებამ გვასწავლა გამოწვევებთან სწრაფად გამკლავება.

გაზეთ „შირაქის" რედაქცია დაინტერესდა ჩვენს მუნიციპალიტეტში სკოლებში არსებული სიტუაციით, თუ რა მდგომარეობაა სასწავლო პროცესის განახლების შემდეგ. გავესაუბრეთ სკოლის დირექტორებსა და პედაგოგებს.

მამუკა ყავრელიშვილი, **ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორი:** „კორონავირუსის პანდემიამ განათლების პროცესი და მთლიანად ცხოვრება კიდევ უფრო გაართულა ბავშვთა და მოზარდთა უმრავლესობისთვის. მას შემდეგ, რაც სკოლები დაიხურა, სწავლება დისტანციურად მიმდინარეობს. სპორტული და სხვა სასკოლო ღონისძიებები, აქტივობები გაუქმდა. მეგობრობამ და ადამიანებთან ურთიერთობამ ონლაინ საუბრებში და ვიდეო ზარებში გადაინაცვლა. ამ პროცესის დადებით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანების, მოსწავლეების მიერ ონლაინ ურთიერთობების, განათლებისა თუ სწავლა-განვითარების უნარ-ჩვევების დახვეწა-გაუმჯობესება. თუმცა, ბავშვები ყველა ქალაქსა თუ სოფელში ელოდებოდნენ მეგობრებთან და მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრას, ვინაიდან ცოცხალი ურთიერთობა ადამიანისთვის, რომელიც არის სოციალური არსება, უმნიშვნელოვანესია. ასევე შეიცვალა სკოლაში სწავლების მეთოდები და ურთიერთობების წესი, გაჩნდა დისტანცია, პირბადის გამოყენების აუცილებლობა, სასკოლო ცხოვრების covid-19 რეგულაციებთან შესაბამისობა, შეიზღუდა ხალხმრავალი ურთიერთობები, ჯგუფური მუშაობები. ამასთან, დღის წესრიგში დადგა საკლასო ოთახში სწავლების ალტერნატიული გზების ძიება. საქართველოს ყველა სკოლა, მათ შორის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლები, გადავიდა სწავლების დისტანციურ მოდელზე. საჭირო გახდა მოსწავლეების ოჯახებიდან მოგვეძიებინა ინფორმაცია ჰქონდათ თუ არა ინტერნეტი, კომპიუტერი ან ტელეფონი, რომლითაც შეძლებდნენ „თიმსის" პროგრამაში შემოსვლას. თავიდან ძნელი იყო მუშაობის პროცესში ყველა მოსწავლის ჩართვა. მათ არ ჰქონდათ შესაბამისი უნარები, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს. მშობლები, შეძლებისდაგვარად, ეხმარებოდნენ ბავშვებს. ზოგიერთს ინტერნეტის პრობლემა ჰქონდა, ზოგს ტექნიკა არ აძლევდა დისტანციურ გაკვეთილზე შემოსვლის საშუალებას. მოსწავლეებისთვის, რომლებიც ვერ ახერხებდნენ „თიმსში" მუშაობას, შევქმენით ჯგუფები სოციალურ ქსელ „Whatsapp" და „messenger"-ში". ვცდილობდით, სწავლების მიღმა არ დაგვრჩენოდა მოსწავლეები. მუშაობის პროცესში ბავშვებს მოსწონდათ დისტანციური გაკვეთილები, იყვნენ გახსნილები, უფრო თამამად გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს, თუმცა პატარებს უჭირდათ დავალებების კომპიუტერში შესრულება. ისინი წერდნენ რვეულში, უღებდნენ სურათს და ისე აგზავნიდნენ. ძალიან დაგვეხმარა ტელესკოლის გაკვეთილები სხვადასხვა საგანში, რომლებსაც დისტანციური გაკვეთილების პარალელურად ვიყენებდით. დისტანციური სწავლების პროცესში გამოვკვეთეთ პრობლემებიც: მოსწავლეებს უჭირთ პროგრამა „თიმსში" მუშაობა, საშინაო დავალებების ატვირთვა და ტესტების შესრულება. სასწავლო წლის დასაწყისში გადავწყვიტეთ, რამდენიმე გაკვეთილი დავუთმოთ ამ პრობლემების აღმოფხვრას, რათა დისტანციურ სწავლებაზე შესაძლო გადასვლას მომზადებულები შევხვდეთ."



ეთერ ოთარაშვილი, **დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის დირექტორი:** „პანდემიამ სასკოლო ცხოვრება კი არა მთლიანად ქვეყნის წინსვლა შეაფერხა,თუმცა, რაღაცნაირად მივეჩვიეთ მასთან ერთად ცხოვრებას.თავიდან შეგვექმნა გარკვეული სახის პრობლემები,რომელიც ძირითადად ტექნიკური ხასიათის იყო. პრობლემები შეექმნათ მრავალშვილიან ოჯახებს, სადაც სასკოლო ასაკის რამდენიმე ბავშვს ერთად უწევდა გაკვეთილებზე ჩართვა. მსგავსი ტიპის ტექნიკური პრობლემების მოგვარება სკოლამ თავის თავზე აიღო. განათლების სამინისტრომაც დახვეწა ონლაინსწავლების მეთოდები, ჩვენც ავუღეთ ალღო, ავუწყეთ ფეხი, გამოიძებნა ალტერნატივა პრობლემების გადასაჭრელად. მთელი საქართველოს მასშტაბით ამოქმედდა „თიმს''-ის პროგრამა,რომელშიც ჩაერთო საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლა. ამ პროგრამამ საგრძნობლად გაამარტივა სწავლების პროცესი, მაგრამ, რა თქმა უნდა, პირისპირ სწავლების პროცესს ვერაფერი ვერ შეცვლის. თუმცა, ვისაც სწავლა უნდა და მოტივირებულია, მათთვის პირისპირ და ონლაინ სწავლებისას არანაირი განსხვავება არ შემინიშნავს, ერთნაირი მონდომებით სწავლობენ. პირისპირ სწავლება უფრო მეტად მობილიზებულს და პასუხისმგებელს ხდის დაბალი საფეხურის მოსწავლეებს.

რაც შეეხება სასკოლო გარემოში დაბრუნებას. პროცესის აღდგენის შემდეგ სრული კონტიგენტი დაბრუნდა სკოლაში. პანდემიამ ჩვენ გვასწავლა, რომ უფრო მეტად გავუფრთხილდეთ ერთმანეთის ჯანმრთელობას. მარტო საკუთარ ჯანმრთელობაზე კი არა, სხვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ფიქრი ვისწავლეთ. გათავისებული გვაქვს და ვცდილობთ დავიცვათ ყველა რეგულაცია, რომ არ დავდგეთ საშიშროების წინაშე, რადგან მოსწავლეების,პედაგოგების და მშობლების დიდი სურვილია, რომ პირისპირ სწავლების პროცესი შევინარჩუნოთ."

ნანა ჭილიტაშვილი, **სოფელ სამრეკლოს სკოლის დირექტორი:** „ჩემი აზრით, პანდემიამ დაგვაფიქრა და გვასწავლა, რომ უნდა გვიყვარდეს ჩვენი პლანეტა და გავუფრთხილდეთ. ვიქეცით „სიცოცხლის ელჩებად" როგორც საკუთარი თავისთვის ისე ერთმანეთისთვის. რომ ერთად დგომით, ყველა სანიტარული ნორმების დაცვით, ვაქცინაციით დავამარცხებთ პანდემიას."

ლალი იაკობიშვილი, **დედოფლწყაროს მეორე საჯარო სკოლის დირექტორი:** „ონლაინ სწავლებას თან უამრავი სირთულე ახლდა: ვირტუალური ურთიერთობა, შემცირებული გაკვეთილები, ზოგიერთ მოსწავლეს ტექნიკური საშუალებები და ინტერნეტი არ ჰქონდა, რათა სრულფასოვნად ჩართულიყო სწავლების პროცესში. თუმცა მას ჰქონდა თავისი დადებითი მხარეებიც. მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც დაეუფლნენ ახალ პროგრამებს, უფრო ეფექტურად აითვისეს ტექნოლოგიები, იყენებდნენ საინტერესო რესურსებს. ხანგრძლივი სოციალური იზოლირება არ აღმოჩნდა ბავშვებისათვის მისაღები .მოსწავლეებს და მასწავლებლებს ძალიან ენატრებოდათ სკოლა და თანატოლები. ისინი დიდი სიხარულით შეხვდნენ სკოლაში სწავლის განახლების ფაქტს, მათთვის ხომ უმთავრესი ურთიერთობების სწავლა და ცხოვრების ურთიერთობების შეცნობაა.

სკოლის ძველ რეჟიმში დაბრუნებას მოჰყვა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობების შეცვლა. სიფრთხილის ზომების მაქსიმალური დაცვა, მათ შორის ჰიგიენური ნორმების, ამასთან, პროცესის ინტენსიური მონიტორინგი. კოვიდ პანდემიამ დაგვანახა სკოლის ახალი გამოწვევები. მასწვლებლებსაც და მოსწავლეებსაც ახალი უნარების განვითარების საჭიროება შეექმნათ.ესენია ციფრული ტექნოლოგიები, ახალი პროგრამები,ახალი მიდგომები.დაგვანახა ისიც,რომ ექსტრემალურ სიტუაციაში მასწავლებელი ნებისმიერ სირთულესა და გამოწვევას ეფექტურად უმკლავდება. ონლაინ სწავლებამ გვასწავლა, რომ გამოსავალი ნებისმიერ რთულ სიტუაციაში შეიძლება მოძებნო ადამიანმა, მაგრამ მასწავლებელი კი არ უნდა ელოდებოდეს ასეთი სიტუაციის შექმნას, არამედ მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში უნდა ვითარდებოდეს და ფეხს უწყობდეს 21-ე საუკუნის გამოწვევებს. სკოლა საჯარო სამართლის იურიდიული პირია და შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება.თუმცა ისეთი გლობალური პრობლემა,როგორც თავს დატეხილი პანდემიაა ძნელია დაძლიო სახელმწიფო ინსტიტუტების ჩარევის და დახმარების გარეშე.

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# ...როცა სარკე გაბზარულია

***21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა. პირველი ქართული გაზეთის დაარსებიდან საუკუნე გავიდა, მაგრამ 100 წელს ჩვენს საზოგადოებაში ბევრი არაფერი შეუცვლია. ერთია მხოლოდ, ჟურნალ-გაზეთებისა და ჟურნალისტების რიცხვმა მოიმატა. ტექნიკის საუკუნემ ინფორმაციის გავრცელების მეთოდებიც შეცვალა - მსოფლიოც დააპატარავა და ახალი ამბების გაგებაც მეტად ოპერატიული გახადა. მაგრამ სოციალურმა მედიამ სხვა თავისტკივილი გაუჩინა მკითხველს - ინფორმაციის სანდოობის ხარისხი.***

ბევრი ისეთი ინფორმაციის გავრცელება ხდება ინტერნეტით, რომლის წყაროც უცნობია. მაგრამ თუ ისეთ საკითხებს მოიცავს, რომელიც ფართო მასებს აინტერესებს, მაშინ არც პირველწყაროზე და არც სანდოობაზე ფიქრობს ვინმე.

ასეთი ხერხით მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა ადვილია: როდესაც ინფორმაციას სწორხაზოვნად ავრცელებენ, არ მუშაობს არც ცენზურა და თვითცენზურა. მასების ფსიქოლოგიას კარგად იყენებენ ის პირები, რომელთაც სასურველი ინფორმაციის გავრცელება სურთ. სამწუხაროდ, ცნობები, ერთი შეხედვით დაუჯერებელი ამბებიც კი, ელვის სისწრაფით ვრცელდება. ბევრი იჯერებს, ბევრი გადამოწმებას ცდილობს, მაგრამ პირველწყაროს მოძიება ასე ადვილი არაა. ის, უბრალოდ „გასულია მომსახურების ზონიდან"...

ჩვენს დროში ფასეულობების აღრევა მოხდა. წიგნი და გაზეთი ბევრს აღარ აინტერესებს. თვლიან, რომ ისინი ინტერნეტმა ჩაანაცვლა. მაგრამ ბეჭდური გამოცემების უმრავლესობას აქვს ეთიკური და პირადი პასუხისმგებლობაც მკითხველის წინაშე. აი, სოციალურ მედიაში კი ამას ნამდვილად ვერავის მოსთხოვ.

არ არსებობს კანონი, რომელიც გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებას შეზღუდავს და ამით მოსახლეობას დაიცავს. ალბათ იკითხავთ, რისგან სჭირდება დაცვა საზოგადოებას? ცრუ, მოდელირებული ქრონიკებისგან, რომელზე პასუხისმგებლობის აღებაც არავის სურს, სამაგიეროდ კარგად ემსახურება ადამიანების ზომბირებას, იმ ინფორმაციის გავლენის ქვეშ მოქცევას, რომელსაც ჩვენი-ადამიანების ფსიქიკის მოშლა შეუძლია.




დაფიქრებულხართ, რა შეუძლია მუდმივი საფრთხის მოლოდინის ქვეშ ცხოვრებას? ალბათ არა! ეს ტერორიზმია, თანამედროვე ინფორმაციული ტერორიზმი, რომელიც შიშს და უნდობლობას თესავს ყველას და ყველაფრის მიმართ. ეს ადამიანების გაუცხოებას იწვევს. გაუცხოებული ადამიანი კი გაცილებით ადვილი სამართავია. ამას მშვენივრად ახერხებენ ისინი, ვისაც ფული აქვს! ძალაუფლების მოპოვებისკენ მიმავალი გზა დიდწილად სწორად დაგეგმილ პროპაგანდისტულ მანქანაზეა დამოკიდებული.

**სოციალურმა მედიამ ასეთ ადამიანებს მიზნისკენ სვლა გაუიოლა.**

ერთი შეხედვით, ინტერნეტმა საჯარო მოხელეებთან ურთიერთობაც გაუიოლა ჟურნალისტებს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით საჯარო ინფორმაციის მოპოვებაზე. საჯარო სექტორი ცდილობს, დამალოს ბევრი ინფორმაცია, მაგრამ არ ფიქრობს მის შედეგებზე- ამით ეჭვებს უჩენს საზოგადოებას და აფიქრებინებს, რომ ყველაფერი რიგზე არაა. ინფორმაციის თავისუფლება სამართლებრივ სახელმწიფოში გარანტირებული ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. სახელმწიფოს გამჭვირვალეობა ეფექტიანი დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია, თავის მხრივ მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს სწორედ ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს. სხვაგვარად, შეუძლებელი იქნებოდა საჯარო დაწესებულებების საქმიანობის „საზოგადოებრივი კონტროლი". მაშინ, როდესაც საზოგადოება ინფორმირებულია სახელმწიფო საქმიანობის შესახებ, ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობა მაღალია. როდესაც მოქალაქე საჯარო დაწესებულებიდან იღებს მისთვის სასურველ ინფორმაციას, მას უჩნდება განცდა, რომ სახელმწიფო მოქმედებს კეთილსინდისიერად და კანონის ფარგლებში. ხოლო, როდესაც ხდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელოვნური შეფერხება, ეს იწვევს სახელმწიფოს მიმართ მოქალაქის ნდობის შემცირებას.

ჩინოვნიკები, დაქირავებული ადამიანები, რომლებიც ვალდებულნი არიან, ემსახურონ მოსახლეობას, ისინი მედიასაშუალებებს ხშირად განიხილავენ, როგორც დაპირისპირებულ მხარეს, უკიდურეს სიტუაციაში - მათ მტრებთანაც აიგივებენ. ავიწყდებათ, რომ ჟურნალისტების დამკვეთიც საზოგადოებაა, სწორედ ის ხალხი, რომელიც ბიუჯეტს ავსებს და ჩინოვნიკებს ხელფასს უხდის. ხშირ შემთხვევაში მედია ხალხსა და საჯარო მოხელეებს შორის შუამავალიცაა. ის სვამს იმ კითხვებს, რაც საზოგადოებას აინტერესებს.

მედიასაშუალებებისთვის მთავარი გამოწვევა სამართლიანობაა. შეინარჩუნო ობიექტურობა მაშინ, როდესაც შენი დამკვეთი რომელიმე პოლიტიკური ძალაა. არ იფიქროთ, რომ ამ ამოცანის წინაშე მხოლოდ ქართული ჟურნალისტიკა დგას, ეს მსოფლიო პრობლემაა. ალბათ, ეს ფაქტორი განაპირობებს მედიის პოლარიზებას, რომელიც, სამწუხაროდ, პირდაპირპროპორციულად აისახება საზოგადოებაზეც.

მაგრამ ჟურნალისტიკის მთავარი დანიშნულება ობიექტურობა და საზოგადოების ყველა წარმომადგენლის, მათ შორის საჯარო მოხელეების, სარკეში სწორი პრიზმიდან დანახებაა. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე წერდა: **„ესეც იცოდე: „მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, – სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?!"**

რა ვუყოთ, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგა-და-შიგ ლაქებიანიცა? სარკეში ჩავიხედოთ ყველამ, ბატონებო! როცა სარკე გაბზარულია, რეალობაც ასეთივეა!

მედია კი ასახავს რეალობას.

ინგა შიოლაშვილი

# ე ს   ლ ა ნ ა ს   ი ს ტ ო რ ი ა ა

*/დასაწყისი გვ.5/*

ვიზუალური გაკვეთილების ცხრილი, გოგონამ სიმბოლოების გარჩევით შეძლო ცხრილის კითხვა. განსაკუთრებულად მოსწონდა სპორტის გაკვეთილი. ცხრილშიც სიმბოლოდ მისი საყვარელი ბურთი ეხატა.

თანაკლასელებთან დამეგობრების მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა როგორც კლასში, ასევე კლასის გარეთ. ლანა აქტივობებში ჩართული იყო წყვილში, ჯგუფში, საჭიროების დროს სპეციალური მასწავლებლის დახმარებით. პირველი სემესტრის მიმდინარეობისას დაიგეგმა ლაშქრობა ბუნებაში. შემოდგომის მზიან დღეს სკოლასთან შეკრებილი ბავშვები, მშობლებთან ერთად, წავიდნენ ახლო მდებარე ტყეში. ითამაშეს ბურთით, მოაგროვეს გირჩები, ფოთლები. ჯგუფები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ბუნებრივი რესურსით წარმოსახვითი ობიექტების გამოსახვაში. ლანას ჯგუფმა გირჩებით მიწაზე ააწყო სმაილი.

მოახლოვდა ახალი წელი. რესურს ოთახში განსაკუთრებული ფუსფუსი გაჩაღდა წინასაახალწლოდ. სამზადისში ჩართულები იყვნენ სკოლაში მყოფი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები მშობლებთან და თანატოლებთან ერთად. სკოლის დირექციას, მასწავლებლებს და ოჯახის წევრებს მოუმზადეს მისალოცი ბარათები. ააწყეს ხელნაკეთი ნაძვის ხე და დაამშვენეს წითელი ბაფთებით. გამოჭრეს ნაირნაირი ფიფქები და მორთეს ფანჯრები. დახატეს თოვლის ბაბუა მარხილით და კედელზე მიამაგრეს ნაძვის ხის გვერდით. ბავშვებმა ერთმანეთს საჩუქრად მოუმზადეს ნაძვის ხის მოსართავები. დღის ბოლოს სკოლაში მოეწყო საახალწლო კარნავალი. დიდი და პატარა გამოწყობილი იყო სადღესასწაულო ფორმებით და ნიღბებით. ყველა ერთად სიხარულით ზეიმობდა ახალი წლის დადგომას. მათ შორის იყო ლანაც.

სკოლა ყოველთვის აწყობდა სხვადასხვა ღონისძიებას. მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების მიზნით აღინიშნა 21 მარტი - დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. სპეციალური მასწავლებლის ორგანიზებით ჩატარდა რამდენიმე აქტივობა. უფროსკლასელმა ბავშვებმა ჩაატარეს სემინარი „მზის შვილები“. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა, მასწავლებლების მეთვალყურეობით, გამოჭრეს ფერადი წინდები, მოხატეს და ააწყეს ქრომოსომების მსგავსად. დიდ პლაკატზე დაწერეს „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“. ერთად დახატეს, გამოფენა ფოიეში მოაწყეს და სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს. სკოლის გვერდზეც დაწერეს შემდეგი წერილი; „მსოფლიო გზავნილია - „არავინ დატოვო მიღმა“. დაუნის სინდრომის მქონე ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, იცხოვროს სრულფასოვანი ცხოვრებით, იყოს სრულუფლებიანი, სხვების თანასწორი მოქალაქე. სწორედ ასეთია ჩვენი უსაყვარლესი ლანა, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის ძვირფასია. ვუსურვებთ ლანას ჯანმრთელობას და წარმატებებს!“ იმ დღეს ყურადღების ცენტრში იყო ლანა, რაც მას ძალიან სიამოვნებდა და ამხნევებდა.

ლანა, თანაკლასელებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა „დედამიწის დღის“ აღნიშვნაში. სხვა მოსწავლეების მსგავსად სახლიდან მოიტანა მცენარეები. ქოთნის ყვავილებით გაალამაზეს საკლასო ოთახი. დღის ბოლოს მოასუფთავეს სკოლის ეზო და გაამწვანეს სხვადასხვა მცენარეებით, ხის ნერგებით. ბავშვები, მასწავლებლის მეთვალყურეობით, ხალისით ზრუნავდნენ ყვავილებზე, ხეებზე და რწყავდნენ მორიგეობით. 1 ივნისს, - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, სკოლის ეზოში მოეწყო აქტივობები. მოსწავლეებმა ცარცით მოხატეს ასფალტი, დახატეს დიდი გული, შუაში ჩააყენეს ლანა და ერთად იმღერეს.

დღითიდღე იცვლებოდა ლანა, ეზრდებოდა სწავლის მოტივაცია და სკოლის სიყვარული. შეიძინა მეგობრები. გოგონა მიეჩვია სკოლაში ძმასთან და თანატოლებთან ერთად სიარულს. ყველაზე მეტად ხელზე დახატული ბედნიერი სმაილი ახარებდა. თავისუფალ დროს სახლში თოჯინებით მასწავლებლობანას თამაშობდა, წარმატებულ მოსწავლეს სმაილით აჯილდოვებდა. დედის გადმოცემით, ავადმყოფობის დროსაც კი სახლში არ უჩერდებოდა გული და სკოლაში წაყვანას ითხოვდა.

კლასის დამრიგებელი ხშირად აწყობდა გასვლით აქტივობებს და ღონისძიებებს. ლანა ყოველთვის იყო თანაკლასელების გვერდით. დადიოდა ექსკურსიებზე ისტორიულ ადგილებში, ნახულობდა ღირსშესანიშნაობებს. პირველი ექსკურსია მოეწყო მცხეთაში. სპეციალური მასწავლებლის რეკომენდაციით გოგონა ჩართეს რაიონის კულტურის ცენტრთან არსებულ ბავშვთა სტუდიაში. თავიდან ლანა შემოიფარგლებოდა მაყურებლის როლით. მორიდებით უყურებდა გარშემომყოფებს, დისკომფორტს უქმნიდა ხალხმრავლობა და მაღალი ხმით ჩართული მუსიკა. ნელ-ნელა შეძლო უცხო გარემოში ადგილის დამკვიდრება, გამოდიოდა სცენაზე, ცეკვავდა და მღეროდა ბავშვებთან ერთად. ის უკვე საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდა.

ერთ დღეს, ყველასთვის მოულოდნელად, ლანა დაიკარგა სკოლის შენობიდან. დიდი და პატარა ეძებდა, ვერსად იპოვეს. დედასთან დაკავშირებისას აღმოჩნდა, რომ ბავშვი სახლში იყო. როგორც გაირკვა, მშობლები სამუშაოდ იყვნენ, ლანა კი ავადმყოფი ბებიის მოსაკითხად გაიქცა სკოლიდან. უფროსებმა გოგონას აუხსნეს, რომ მისმა გაუფრთხილებლად გადადგმულმა ნაბიჯმა დიდი დარდი მიაყენა გარშემომყოფებს, ამასთან, შეუქეს ბებიის მიერ გამოჩენილი გულისხმიერება. სპეციალურმა მასწავლებელმა, სპორტის მასწავლებელთან ერთად, მშობლების და ბავშვების მონაწილეობით, სახალისო აქტივობები დაგეგმეს. მათი მიზანი იყო მშობლების ჩართულობა, რაც ხელს უწყობს ჯანსაღ კომუნიკაციას, აკადემიური მოსწრების და სწავლის მოტივაციის გაზრდას. ორ გუნდად იყვნენ დაყოფილი ბავშვებიც და მშობლებიც. გუნდებს ჟიური აფასებდა. უფროსებსა და უმცროსებში საერთო იყო სიხარული და დადებითი განწყობაც. განსაკუთრებული მხარდაჭერა ჰქონდა გუნდს, რომელშიც ლანა მონაწილეობდა.

ყოველდღიურად მიმდინარეობდა ლანასთან მუშაობა. სემესტრის დასასრულს და წლის ბოლოს იკრიბებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდი და შედეგებზე მსჯელობდა. ყველას ახარებდა გოგონას წარმატებული ნაბიჯები. ასაკის მატებასთან ერთად ლანამ ისწავლა დამოუკიდებელი სიარული, ხტომა, სირბილი. უყვარდა ბურთით თამაში. გახდა კომუნიკაბელური, ვერბალურად გამოხატავდა სურვილებს და ემოციებს. ისწავლა საკუთარი სახელისა და გვარის, მარტივი სიტყვების, წინადადებების წერა-კითხვა, თვლა, 10-ის ფარგლებში ციფრების ცნობა და რაოდენობასთან დაკავშირება. გეომეტრიული ფიგურების დასახელება და გამოსახვა სახაზავის გამოყენებით. ფერების ცნობა-გარჩევა. კომპიუტერის გამოყენება. ისწავლა გაფერადება, ხატვა. ხატავდა ოჯახის წევრებს, მის საყვარელ მასწავლებლებს, ყვავილებს და მზეს. აკეთებდა აპლიკაციებს სეზონების, ამინდის, დღესასწაულების მიხედვით.

სკოლაში აქტიურმა მუშაობამ ლანას გამოუმუშავა გარკვეული უნარ-ჩვევები. სპეციალური მასწავლებლის რეკომენდაციით დედამ მიიყვანა მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან არსებულ ხელგარჯილობის წრეზე. გოგონა შეეგუა უცხო სიტუაციას, შეიძინა ახალი მეგობრები, ისწავლა ბუნებრივი და ხელოვნური მასალით ხელნაკეთი ნამუშევრების გაკეთება. გამოფენაზე ეპატიჟებოდა ახლობლებს და სკოლის მეგობრებს.

ერთხელ სკოლას №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ქართველი ემიგრანტი, ლევან ჯანაშვილი ეწვია, რომელიც გერმანიაში მოღვაწეობდა და რესურს ოთახს საჩუქრად გადასცა თვალსაჩინო და საგანმანათლებლო რესურსი. სკოლის ადმინისტრაციას და მოსწავლეებს შესთავაზა საქველმოქმედო ღონისძიებაში ჩართვა. სპეციალური მასწავლებლის დახმარებით ლანამ, კლასელებთან, ერთად დახატა ინდივიდუალური და ჯგუფური ნახატები. თითოეული ნამუშევარი მოათავსეს ჩარჩოში და გაიტანეს გამოფენაზე, სადაც გამოტანილი იყო სხვადასხვა სკოლის მოსწავლეების ნახატები. საქველმოქმედო ღონისძიებას დაესწრნენ როგორც ადგილობრივი, ასევე ჩამოსული სტუმრებიც. ნახატების ავტორებმა დიდ დარბაზში ამოიცნეს თავიანთი ნამუშევრები. ათვალიერებდნენ და დადებით ემოციებს უზიარებდნენ ერთმანეთს. პატარა მხატვრებმა გაიცნეს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. გულისხმიერმა ადამიანებმა შეიძინეს ნახატები. გაყიდული ნახატებიდან შემოსული თანხა მოხმარდა ისევ ბავშვებს.

გადიოდა წლები, იზრდებოდა ლანა, მასწავლებლები ცდილობდნენ, გოგონა აქტიურად ჩართული ყოფილიყო სკოლის ცხოვრებაში, დაუფლებოდა იმ უნარ-ჩვევებს, რაც გამოადგებოდა პროფესიულ განათლებაში. მშობლების ოცნებაც ხომ მისი განათლება და შემდეგში დასაქმებაა. დღეს ლანა 12 წლისაა, ძმასთან ერთად 7 კლასში სწავლობს და ბედნიერია იმ წინგადადგმული ნაბიჯებით, რომლებიც მან მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლის და მეგობრების დახმარებით შეძლო.

**მოამზადა**
ნაირა გორაშვილმა

---

**გამოსათხოვარი**



## ჟულვერ (დავით) ბაღაშვილი

ჩვენს საზოგადოებას კიდევ ერთი, წარმატებული დედოფლისწყაროელი გამოაკლდა, ოჯახს კი- მზრუნველი მამა და პაპა.

ჟულვერ (დავით) ბაღაშვილი დაიბადა 1938 წელს დედოფლისწყაროში, მოსამსახურის ოჯახში. დედა- დამსახურებული პედაგოგი - ბაბულია პოპიაშვილი, მამა-პურპროდუქტების სარეალიზაციო ბაზის დირექტორი იყო.

სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში. 1964 წელს დაამთავრა ინსტიტუტის ზოოტექნიკის ფაკულტეტი სპეციალობით-სწავლული ზოოტექნიკოსი. შემდეგ სწავლა განაგრძო ქალაქ ნოვოსიბირსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში და დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სანაშენე მუშაობა მეცხოველეობაში და გენეტიკა“. მიენიჭა მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. ამის შემდეგ მოღვაწეობდა სამეცნიერო დარგში ქ. თბილისის კვლევით ინსტიტუტში. 1977 წლიდან გადაიყვანეს თბილისის ხორცკომბინატის დირექტორად, სადაც იმუშავა 1990 წლამდე, მის რეორგანიზაციამდე. შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა ადგილზე, თავისი სპეციალობით.

მან ახალგაზრდა ასაკში გადაიტანა ახლობლების ნაადრევად დაკარგვის ტკივილი. დაეღუპა მეუღლე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, შესანიშნავი დედა და მეუღლე ბელა მაღალაშვილი, ასევე ძმა- გურამი, წითელწყაროს რაიკავშირის ყოფილი თავმჯდომარე, სიძე- ქალიშვილის მეუღლე, შესანიშნავი ახალგაზრდა ლაშა კობახიძე.

ჟულვერ (დავით) ბაღაშვილი ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. დაიკრძალა 14 მარტს ქ. თბილისში.

დარჩა შესანიშნავი შვილები-დავითი და ეკა, შვილიშვილები: სალომე და დეა, რომელთა აღზრდაზეც და პიროვნებებად ჩამოყალიბებაზეც პაპამ იზრუნა.

იყო შესანიშნავი ადამიანი, თავდავიწყებით უყვარდა სამშობლო, ოჯახი, მეგობრები, სანათესაო და ყველა ის ადამიანი, ვისაც მასთან რაიმე აკავშირებდა.

მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი ქართული მიწა.

ოჯახი და მეგობრები

---

თანაკურსელები: მიშა თეთვაძე, ჯემალ ხატიაშვილი, შოთა აბდელანი, თემურ ლაბაძე, სანდრო დოროყაშვილი, ჯემალ ფირანიშვილი, ომარ კობახიძე, იური ნადარაია, ალბერტ ჯანელიძე, მზია მეტრეველი, იზა თუმანოვა, ეთერ გინტური, ინგა ნებიერიძე, გიული ჩხიკვაძე, ვახო ცაგარელი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ჟულვერ (დავით) ბაღაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

**გამოსათხოვარი**

## მერი პოპიაშვილი



რაიონის პედაგოგიურ საზოგადოებას თავისი თაობის „უკანასკნელი მოჰიკანი“, მხცოვანი მასწავლებელი მერი პოპიაშვილი, 94 წლის ასაკში,გამოაკლდა. ცხოვრების გრძელი გზა გაიარა და პედაგოგიური მოღვაწეობის ხუთი ათეული წლის მანძილზე მრავალი თაობა გაუზარდა ქვეყანას. მუშაობდა ქედების ზონაში, დედოფლისწყაროს №1 საშუალო სკოლაში. დაწყებითი განათლების სპეციალისტი პატარებს რუსულ ენასაც ასწავლიდა. ამიტომ გახდა ის ყველა ბავშვის საყვარელი „მერი რამანოვნა“. სწორედ მასზე იყო ზედმოჭრილი - „მასწავლებელი, ზოგჯერ უშვილო, მაგრამ მრავალი ბავშვის მშობელიო“. თუმცა, შვილებზე ნაკლები ამაგი არ დასდო ძმისშვილებს, დისშვილებს. ამიტომაც, სიცოცხლის მანძილზე და ბოლო ამოსუნთქვამდე უერთგულეს და უპატრონეს მას ძმისშვილებმა და პატივით გააცილეს უკანასკნელ გზაზე. დინჯი, გაწონასწორებული, თბილი და ჰუმანური იყო როგორც პიროვნება, ერუდირებული და მაღალპროფესიული როგორც სპეციალისტი, ამიტომაც მრავალი ჯილდოს, სიგელის და დიპლომის მფლობელი გახლდათ, თუმცა „დამსახურებული პედაგოგის“ და „დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“ წოდება ყველაზე მეტად ეამაყებოდა. მან ვალმოხდილმა დატოვა ეს ქვეყანა და შეუერთდა მარადისობას. ნათელი იყოს უფლისკენ სავალი მისი გზა.

ოჯახი და ახლობლები

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი იუწყება

თენგიზ იაკობიშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ოჯახით იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის

მერი პოპიაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ნაზი მოსაშვილი და ილია ბიკაშვილი ოჯახით იუწყებიან პირველი მასწავლებლის

მერი პოპიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მაია და ხათუნა პოპიაშვილებს, მარლენ კვაჭანტირაძის და ფიქრია ალიკოშვილის ოჯახს.

---

გარდაცვლილი თანაკურსელი მეგობრების შვილები: მაია აბდელანი, ცისია ალექსანაშვილი, მიშიკო ქევანიშვილი, დათო ტურაშვილი, გუგა ქაშიბაძე, დათო დიდებულიძე, შორენა ვახანია, ვალია მჭედლიძე, რომანი გარაშვილი იუწყებიან

ჟულვერ (დავით) ბაღაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

**გამოსათხოვარი**

## თენგიზ იაკობიშვილი



მიუხედავად იმისა, რომ, თურმე, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები ჰქონდა, არასდროს დაუწუწუნია და ამიტომ იყო სწორედ მისი გარდაცვალება ასეთი მოულოდნელი. თენგიზ იაკობიშვილი, რომელსაც გამოჩენილ ფეხბურთელთან მისი ფიზიკური მსგავსების გამო მეტსახელად „ჩელებაძეს“ ეძახდნენ, 73 წლის ასაკში ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ის პროფესიით მშენებელი ინჟინერი გახლდათ და ეამაყებოდა , რომ არაერთი დიდი მშენებლობის ავტორი იყო, რომელმაც დაამშვენა ჩვენი რაიონი. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ რამდენიმეს შეგახსენებთ: ქალაქის შემოსასვლელში შინმოუსვლელთა პარკი, მეფრინველეობის ფაბრიკა (ბამი), საცხოვრებელი და სხვადასხვა ორგანიზაციების ადმინისტრაციული შენობები, უამრავი ფერმა და მემინდვრეობის საბრიგადო სახლები და სხვა. მერე აირია ცხოვრება, გაუქმდა და ლიკვიდაცია გაუკეთდა სამშენებლო ორგანიზაციებს, როცა უმრავლესობა მიწას მიუბრუნდა და ხვნა- თესვას მიჰყო ხელი, თემგიზმაც ეს გზა აირჩია და ერთ-ერთი წარმატებული ფერმერი გახდა. შრომა უყვარდა, გონება მოსდევდა და რასაც ხელს მოჰკიდებდა, გამოსდიოდა კიდეც, ცოდო-მადლით სავსე და გულმოწყალე იყო, კაცს გაჭირვებაში არ მიატოვებდა, ქველმოქმედებითაც ბევრჯერ დახმარებია ადამიანებს უანგაროდ. ამიტომაც 2020 წლის ნომინაციაში „ ჩვენი დროის ადამიანები“ პირველ ოცეულში დასახელდა. იყო ერთგული მეუღლე, საუკეთესო შვილების მამა და შვილიშვილებზე თავდავიწყებით შეყვარებული პაპა. მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო ადამიანების სიყვარული იყო, რომელიც მან ღირსეულად დაიმსახურა საზოგადოებაში. წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი კაცური კაცი, რომელმაც გული დაგვწყვიტა და რომლის ხსოვნაც დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში. ნათელი დაუმკვიდროს უფალმა.

მეგობრები და ახლობლები

---

მეუღლე ნინო ნატროშვილი; შვილები: გიორგი და თამუნა, და მარგო იაკობიშვილები, სიძეები: ზურაბ ჩალაბაშვილი, მირიან სულხანიშვილი; შვილიშვილები: თიკა, ნატალი, ანდრია სულხანიშვილები; მძახლები: ზაქარია და თინათინ სულხანიშვილები იუწყებიან

თენგიზ იაკობიშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 20 მარტს, სოფელ ზემო მაჩხაანში.

---

უახლოესი მეზობლები: გივი, ალექსი, დიმა, სვეტლანა, დოდო ლომიძეები; ნოდარი, ვადიმი, დალი, ნინო გივიშვილები იუწყებიან

თენგიზ იაკობიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

ნაირა გორაშვილი ოჯახით იუწყება საუკეთესო მეგობრის და ერთგული ადამიანის

თენგიზ იაკობიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს და ახლობლებს.

---

ციური გოგილაშვილი, ვალერი, ზურა, ნინო იაკობიშვილები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ნინო ნატროშვილს, თამუნა, გიორგი, მარგო იაკობიშვილებს

თენგიზ იაკობიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ლამარა ჭუჭულაშვილი, ქეთი და მანანა ალადაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მაია და ხათუნა პოპიაშვილებს მამიდის, მარლენ კვაჭანტირაძის და ფიქრია ალიკოშვილის ოჯახს დეიდაშვილის

მერი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

# რას ფიქრობენ დედოფლისწყაროელები ვაქცინაციაზე?




მაკა შარმაზანაშვილი, **საგანგებო სიტუაციების ცენტრი, იურისტი**: „არ ვიცი ჯერ არ ვაპირებ ნამდვილად, თუ სავალდებულო გახდება მერე რას ვიზამ არ ვიცი“.

დალი მენთეშაშვილი, **ბაღის აღმზრდელი**” „არ ვიცი, ძალიან მაფიქრე-ბს და მაშფოთებს ეგ თემა, მითუმეტეს, ამ ფონზე. ძალიან მეშინია, ჯერ ერთი,კორონავირუსი ახალი გადატანილი მაქვს და ვაქვინაცია არ მეხება. ვნახოთ, დავაკვირდები მოვლენებს“.

თამუნა ბოსტაშვილი, **პედაგოგი**: „ჩემი აზრით, აცრა სავალდებულოა მეტი უსაფრთხოებისთვის. პირადად მე ცოტა ვმერყეობ, აცრასთან დაკავშირებით. ჩემს ოჯახში სამს (დიტოს და ორ ბავშვს დაუდასტურდა კორონა), მე არ დამი-დასტურდა, არც ანტისხეულები აღმომაჩნდა. მეტი კონტაქტი შეუძლებელია, მე ვაქცევდი ყველას ყურადღებას. არ შემხვდა ამ ეტაპზე, ახლა ძალით მომიწევს ვირუსის შეყვანა ორგანიზმში. არ ვიცი, ძალიან ვნერვიულობ, თუმცა ვთვლი, რომ აცრა აუცილებელია.“

ეკა სეფიაშვილი, **პედაგოგი**: „არ ვიცი, ძალიან მაღელვებს ეგ საკითხი, მი-თუფრო, ამ ახალგაზრდა გოგონას გარდაცვალების შემდგომ. ჯერ სულ ახლა დავიწყეთ იმუნიზაციის პროცესი და უცებ ასეთი ფატალური შედეგი ასეთი მცი-რერიცხოვანი ერისთვის, შოკისმომგვრელია. ფაქტის წინაშე თუ დაგვაყენეს, ჯერ არ ვიცი, რას ვიზამ. თუმცა, დღემდე ვთვლიდი, რომ ვაქცინაცია ერთადერთი გამოსავალია პანდემიის დასასრულებლად“.

## კლდესავით იდგა და ამაგრებდა ქართულ მიწა-წყალს – ოკუპირებული სამაჩაბლოს სიმბოლოდ ქცეული დათა პაპა გარდაიცვალა



მავთულხლართებს მიღმა დარჩენილი, ოკუპირებული ცხინვალის რეგიო-ნის სიმბოლო, დათა ვანიშვილი, ჟურნალისტებისა და ახლობლებისთვის დათა პაპა, გარდაიცვალა. ბოლო დროს, 88 წლის დათა ვანიშვილს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, თუმცა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილების და სამედიცინო სერვისებზე წვდომის უფლებას არ აძლევდნენ, რაზეც დავით ვანიშვილი მედიასა და მავთულხლართებთან მყოფ ევროპელ დიპლომატებთან მუდმივად ლაპარაკობდა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ დაწყებული უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის მიმდინარეობისას, დავით ვანიშვილის სა-ცხოვრებელი სახლი მავთულხლართებს მიღმა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა. ვანიშვილმა უარი თქვა სახლის დატოვებაზე და მოხუც მეუღ-ლესთან და შვილიშვილთნ ერთად, 12 წლის განმავლობაში გამყოფი ხაზის მიღმა ცხოვრობდა... გარდაცვლილის ახლობლების ინფორმაციით, დათა ვანიშვილს ოკუპირებულ ტერიტორიაზევე, სოფლის ძველ სასაფლაოზე დაკრძალავენ. მავთულხლართების მიღმა მოყოლილი უბნის სასაფლაოს მიცვალებულები უპატრონოდ რომ არ დარჩენილიყო, მათ საფლავებს უვლიდა. საეკლესიო დღესასწაულებზე აკითხავდა, სანთელს უნთებდა და ღვინოს უქცევდა.

“ჩემი ქართველები არიან, ჩემი სისხლი და ხორცი, ამ უცხოების ხელში ხომ არ გავაპარტახებ? აღდგომის დღესასწაულზე, ჭირისუფლებმა კვერცხი, ხილი და ტკბილეული გადმომაწოდეს, ჩვენს სახელზე მიცვალებულებს წაუღეო... ვიჯექი მარტოკა საფლავებს შუა და ჩემი ქვეყნის, ქართველი კაცის ბედუკუღმართობაზე ვტიროდი... ეს არის ცხოვრება?” - ყვებოდა დათა პაპა.

## სტიქია ართვინის პროვინციაში





თურქეთში, ართვინის პროვინციაში ძლიერი ხანძარია. სტიქიამ უკვე გაანადგურა 50-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი. ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება. ხანძარი იუსიფელის რაიონის სოფელ დერეიჩის ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში გაჩნდა. ძლიერი ქარის გამო, ცეცხლი სხვა საცხოვრებელ სახლებზე გავრცელდა.

„დაზარალდა უამრავი სახლი და მოქალაქეთა ქონება. თუმცა, კარგი ის არის, რომ მომხდარს მსხვერპლი არ მოჰყოლია“, - აღნიშნა თურქეთის შს მინისტრის მოადგილე ისმაილ ჩათაქლიმ.

ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელი Dereiçi Köyü’ მდებარეობს მდინარე პარხალისწყლის მარჯვენა შენაკადის ჰერმუთისწყლის ხეობაში, ზღვის დონიდან 900 მეტრზე. ძალიან ლამაზი მდებარეობით გამოირჩეოდა.

სამწუხაროდ, დღევანდელმა სტიქიის შემდეგ, უნიკალური ხის საუკუნოვანი სახლებიც დაიწვა.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 22.03 | | სამშაბათი 23.03 | | ოთხშაბათი 24.03 | | ხუთშაბათი 25.03 | | პარასკევი 26.03 | | შაბათი 27.03 | | კვირა 28.03 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 8 ° | 2 ° | 16 ° | 7 ° | 13 ° | 4 ° | 11 ° | 3 ° | 11 ° | 1° | 10 ° | 1 ° | 8 ° | 1 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუქუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-87; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.